გენდერული მეინსტრიმინგის ინსტრუმენტები ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი უწყებებისათვის

გენდერული მეინსტრიმინგი - არის გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის მიზნით, ქალებისა და კაცების, გოგონებისა და ბიჭების პრიორიტეტებისა და საჭიროებების სისტემური ინტეგრაცია.

- ორგანიზაციულ სტრუქტურაში.
- ორგანიზაციის პოლიტიკაში.
- პროგრამებში და საქმიანობაში.
- მონიტორინგისა და შეფასების პროცესში.

თავად გენდერული მეინსტრიმინგი არ წარმოადგენს მიზანს, არამედ ესაა გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის სტრატეგია.

გენდერული მეინსტრიმინგის პროცესი ატარებს ციკლურ ხასიათს და მოიცავს შემდეგ ეტაპებს[1]:

1. დაგეგმარება



ნაბიჯი 1 - ანგარიშვალდებულება და პასუხისმგებლობა.
ნაბიჯი 2 - რესურსების გამოყოფა-მობილიზება.
ნაბიჯი 3 - ორგანიზაციული ანალიზი.
ნაბიჯი 4 - გენდერული მეინსტრიმინგის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება

2. განხორციელება

ნაბიჯი 5 - გენდერული მეინსტრიმინგის ხელშემწყობი სტრუქტურის ჩამოყალიბება (შექმნა).
ნაბიჯი 6 - გენდერული თანასწორობის მიზნების განსაზღვრა.

[1] გენდერული თანასწორობის ევროპული ინსტიტუტის სახელმძღვანელო https://eige.europa.eu/sites/default/files/mh0716094enn.pdf

ნაბიჯი 7 - კომუნიკაცია გენდერული მეინსტრიმინგისათვის.
ნაბიჯი 8 - გენდერული მეინსტრიმინგის ინსტრუმენტებისა და მეთოდოლოგიების წარდგენა (გაცნობა).
ნაბიჯი 9 - კომპეტენციის ამაღლება გენდერული თანასწორობის საკითხებში.
ნაბიჯი 10 - გენდერული ინფორმაციის მართვის სისტემის შექმნა.
ნაბიჯი 12 - თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა ორგანიზაციის თანამშრომელთათვის

3. შეფასება და შეჯამება

ნაბიჯი 13 - მონიტორინგი და ორგანიზაციული ცვლილებების მართვა.
გენდერული მეინსტრიმინგი პრაქტიკაში

დაგეგმარება
ნაბიჯი 1 - ანგარიშვალდებულება და პასუხისმგებლობა.
ინფორმირება საერთაშორისო და ეროვნულ ვალდებულებებზე.
მხარდამჭერთა და თანამოაზრეთა წრის გაფართოება გადაწყვეტილების მიმღებ პირთა შორის.
გენდერული მეინსტრიმინგის პოზიტიური გავლენა.
კონკრეტული მოდელების შეთავაზება.
მკაფიო და დამაჯერებელი. არგუმენტები წინააღმდეგობრივი მოსაზრებების გასაქარწყლებლად.

ნაბიჯი 2 - რესურსების გამოყოფა-მობილიზება.
ფინანსური - ექსპერტიზა, ცნობიერების ამაღლება, კვლევები, საინფორმაციო მასალები, ვებ-გვერდი და სხვა, დამხმარე საქმიანობისათვის.
ადამიანური - სამუშაო დრო და ცვლილებების დაწყებისათვის ხელსაყრელი პერიოდი- მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტში განისაზღვროს მხოლოდ გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი საჯარო მოხელე და სასურველია გენდერული მეინსტრიმინგის დაწყების პროცესი არ ემთხვეოდეს საარჩვენო ან სხვა ხელშემშლელ პერიოდს.

ნაბიჯი 3 - ორგანიზაციული ანალიზი - „გენდერული აუდიტი“.
სად იმყოფება ორგანიზაცია გენდერული თანასწორობის კუთხით.
მისი ძლიერი და სუსტი მხარეები. მეთოდოლოგია მოიცავს თანამონაწილეობითი გენდერული აუდიტის მეთოდიკას.
რა იქნებოდა ყველაზე ეფექტური გზა გენდერული მეინსტრიმინგის მიზნების მისაღწევად.

მაგალითი: გენდერული აუდიტის მეთოდოლოგია გამოყენებულ იქნა თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა (2015 წელი) და ასპინძის მუნიციპალიტეტის გენდერული აუდიტის განხორციელებისას (2019 წელი)

ნაბიჯი 4 - გენდერული მეინსტრიმინგის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება ორგანიზაციის სტრუქტურაზე და საქმიანობაზე მორგებული
სტრატეგია - თანასწორობის მიზნები, დამხმარე სტრუქტურები, გენდერული კომუნიკაცია, მექანიზმები და ინსტრუმენტები
სამოქმედო გეგმა - პრიორიტეტული მიმართულებები, საქმიანობა, ინდიკატორი, პასუხისმგებელი, რესურსები, დრო

მაგალითი: საქართველოს 64 მუნიციპალიტეტში შემუშავებულია მუნიციპალური გენდერული თანასწორობის გეგმა; გენდერული თანასწორობის **სტრატეგიის დოკუმენტი** შემუშავებული აქვს ასპინძის, გურჯაანისა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტებს.

განხორციელება

ნაბიჯი 5 - გენდერული მეინსტრიმინგის ხელშემწყობი სტრუქტურის ჩამოყალიბება (შექმნა).

- გენდერული მეინსტრიმინგის დამხმარე სტრუქტურა ზედამხედველობას უწევს გენდერული მეინსტრიმინგის პროცესს და უზრუნველყოფს მის განხორციელებას გრძელვადიან პერსპექტივაში.
- საერთო პასუხისმგებლობა გენდერულ თანასწორობაზე ეკისრება ორგანიზაციის

მაგალითი: **გენდერული თანასწორობის საბჭოს** კანონით დადგენილი მიზანია, მუნიციპალიტეტში გენდერულ საკითხებზე სისტემური მუშაობის უზრუნველყოფა. საბჭოს საქმიანობის უმთავრესი მიმართულებაა მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის სტრუქტურის ჩამოყალიბება და მისი მდგრადი, ეფექტიანი ფუნქციონირება.

გადაწყვეტილების მიმღებ რგოლში მოღვაწე თანამდებობის პირთა ჯგუფს.

მაგალითი

„გენდერული მეინსტრიმინგის ხელშემწყობი დეპარტამენტი“ ეხმარება ქალაქ ვენის ადმინისტრაციის ოფისებსა და დეპარტამენტებს მათი გენდერული მეინსტრიმინგის პროცესში, დეპარტამენტი პასუხისმგებელია სტრატეგიულ კოორდინაციასა და ქსელურ მუშაობაზე, და უზრუნველყოფს ინფორმაციით გენდერულ საკითხებზე. დეპარტამენტი, აგრეთვე უზრუნველყოფს ქალაქის ადმინისტრაციას კვლევებითა თუ რჩევებით. დეპარტამენტს აქვს მისი საკუთარი განყოფილება ვებ-გვერდზე, სახელმძღვანელოებით, დოკუმენტაციით და სასარგებლო ინფორმაციით.

წყარო: https://www.wien.gv.at/english/administration/gendermainstreaming/office.html

ნაბიჯი 6 - გენდერული თანასწორობის მიზნების განსაზღვრა.

- ძირითადი მიზნები ქმნიან გენდერული მეინსტრიმინგის განხორციელების სახელმძღვანელო ჩარჩოს ორგანიზაციისათვის.
- ისინი აყალიბებენ მკაფიო სახელმძღვანელო პრინციპებს თანამშრომელთათვის, რაც ამარტივებს განხორციელების პროცესს.

მაგალითი:

გურჯაანის მუნიციპალიტეტს შემუშავებული და დამტკიცებული აქვს სტრატეგიის დოკუმენტი. მუნიციპალიტეტის მოქალაქეთა საჭიროებების კვლევის ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა შემდეგი მიმართულებები:

1. გურჯაანის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით და აღმასრულებელ სტრუქტურებში გენდერული თანასწორობის სამართლებრივ-ორგანიზაციული უზრუნველყოფა;
2. მუნიციპალიტეტის საფინანსო-ეკონომიკურ სფეროში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა;
3. კულტურის,განათლების, ახალგაზრდობის საკითხებსა და სპორტის სფეროში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა;
4. სოციალურ სფეროში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა;
5. გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა;
6. ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრა;

მაგალითი:

გენდერული თანასწორობის მიზნებია:

- კარიერული ზრდის თანაბარი შესაძლებლობები ქალებისა და მამაკაცებისთვის.
- ანაზღაურებადი და აუნაზღაურებელი შრომის თანაბარი განაწილება ქალებსა და მამაკაცებს შორის, სამართლიანი შრომის ანაზღაურება და შემოსავლები, რომელიც ქალებსა და კაცებს მისცემს

მაგალითები

ბერლინის გენდერული თანასწორობის ჩარჩო პროგრამა (GPR) ეფუძნება გენდერული თანასწორობის 10 ყოვლისმომცველ პრინციპს, რომელიც წარმოადგენს პოლიტიკის სახელმძღვანელო მიზანს.:

1. ქალი და კაცი თანასწორად არის წარმოდგენილი და დახასიათებული საზოგადოებრივ ცხოვრებაში მის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ და სოციალურ ასპექტებში

2. ქალსა და კაცს აქვთ თანაბარი უფლებები თვითონ მიიღონ გადაწყვეტილება მისი ცხოვრების ყველა ასპექტში და საფეხურზე.

3. ქალი და კაცი იღებს კუთვნილ საარსებო მინიმუმისა და სიღარიბის დაძლევისათვის საჭირო პენსიას, მათი კარგი განათლებისა და ტრენინგების შესაბამისად, შრომის ბაზარზე თანაბარი ხელმისაწვდომობისა და თანაბარი ანაზღაურების შესაძლებლობებით.

4. ქალი და კაცი თანაბრად ინაწილებს საოჯახო შრომასა და ოჯახზე ზრუნვას, ბავშვზე ზრუნვასა და განათლებას, მათი დამოუკიდებლად ცხოვრების შენარჩუნების მიუხედავად.

5. ქალი და კაცი თანაბრად იღებენ სარგებელს სახელმწიფოს ფედერალური რესურსებიდან (ბერლინის).

6. ქალზე და კაცზე ადმინისტრაცია საუბრობს, წერს, და მოქმედებს გენდერული სამართლიანობის პრინციპების გათვალისწინებით.

7. ქალი და კაცი სწავლობს და განათლებას ღებს გენდერულად მგრძნობიარე გზით სკოლაში, საბავშვო ბაღში და ყველა სხვა სასწავლო დაწესებულებაში.

8. ქალი და კაცი იღებენ გენდერული სამართლიანობის პრინციპების გათვალისწინებით მომსახურებას ჯანდაცვასა და სპორტში.

9. ქალი და კაცი თავს გრძნობს უსაფრთხოდ და ცხოვრობს ძალადობისაგან და სექსისტური დისკრიმინაციისაგან თავისუფალ, როგორც პირად ასევე საზოგადოებრივ სივრცეში.

10. ქალი და კაცი თავისუფალია მის პირად განვითარებაში და მიღებული და დაფასებულია მათი განსხვავებულობა.

წყარო: http://www.berlin.de/gleichstellung-weiter-denken/

ნაბიჯი 7 - კომუნიკაცია გენდერული მეინსტრიმინგისათვის.

- კომუნიკაციის სტრატეგია გენდერული მეინსტრიმინგის პროცესში ხელს უწყობს და შეეხება პირველ რიგში შიდა ორგანიზაციული კომუნიკაციის საკითხებს, თუმცა გარე კომუნიკაცია, აგრეთვე წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს

გენდერული მეინსტრიმინგის ორგანიზაციის ერთ-ერთ ფასეულობად წარმოჩენისათვის და უზრუნველყოფს მისი ავტორიტეტის ზრდას.

მაგალითი:

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტეს შემუშავებული და დამტკიცებული აქვს გენდერული თანასწორობის საბჭოს კომუნიკაციის სტრატეგიის დოკუმენტი.

გენდერული თანასწორობის საბჭოს კომუნიკაციის სტრატეგია არის საზოგადოებასთან ურთიერთობის პროცესის ინსტიტუციონალიზაციისა და სისტემური მიდგომის ჩამოყალიბებისთვის აუცილებელი მექანიზმი, რომელიც მისცემს მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს დაამყაროს ეფექტური კომუნიკაცია სამიზნე შიდა და გარე აუდიტორიასთან და დაინტერესებულ ჯგუფებთან.

ნაბიჯი 9 - კომპეტენციის ამაღლება გენდერული თანასწორობის საკითხებში.

- მოტივაცია
- პასუხისმგებლობა
- მეთოდოლოგიური ცოდნისა და უნარების შეძენა
- სპეციალიზაცია - მოიცავს, როგორც გენდერული საკითხების თეორიულ ცოდნას, აგრეთვე გამოცდილებაზე-ემპირიულ ფაქტებზე დაფუძნებულ ცოდნას ორგანიზაციული პოლიტიკისა და სფეროების შესაბამისად
- მუნიციპალიტეტს
- მუნიციპალიტეტებში თანამშრომლების გადამზადებისათვის ცნობიერების ამაღლების მიზნით (ტრენინგები, სემინარები და შეხვედრები), ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილია საბიუჯეტო სახსრები (1%)

ჩვენს სახელმძღვანელო დოკუმენტში მოცემულია მუნიციპალიტეტებისათვის შემუშავებული ინსტრუმენტები როგორიცაა:

- მუნიციპალური გენდერული სტატისტიკის წარმოების მეთოდიკა.
- მუნიციპალიტეტის მოსახლეობის გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის საჭიროებათა კვლევის მეთოდიკა.
- მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს კომუნიკაციის სტრატეგიის დოკუმენტის შემუშავების მეთოდიკა.
- მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმის თვითშეფასების მეთოდიკა.
- თანამონაწილეობითი გენდერული აუდიტის მეთოდიკა.

ნაბიჯი 10 - გენდერული ინფორმაციის მართვის სისტემის შექმნა.

- მნიშვნელოვანია გენდერული ინფორმაციის თავმოყრა ერთ სივრცეში, ვინაიდან ეს არის სასარგებლო რესურსი თანამშრომელთათვის და დაინტერესებული პირებისათვის მიიღონ მეტი ინფორმაცია გენდერულ საკითხებზე.

მაგალითი

- საქართველოს პარლამენტის ვებ-გვერდი, გენდერული თანასწორობის საბჭოს ფანჯარა, სადაც თავმოყრილია გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს, ოფიციალური დოკუმენტების, სტრატეგიების, სამოქმედო გეგმებისა და სხვადასხვა თემატური რესურსების შესახებ.

http://www.parliament.ge/ge/saparlamento-saqmianoba/komisiebi-da-sabchoebi-9/genderuli-tanasworobis-sabcho

მაგალითი

- GIZ-ის „გენდერული გამოცდილების პლატფორმა“ მომხმარებელს სთავაზობს ინფორმაციის ფართო სპექტრს გენდერულ თემატიკაზე.

https://www.genderingermandevelopment.net

ნაბიჯი 12 - თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა ორგანიზაციის თანამშრომელთათვის

- თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა წარმოადგენს ქვეყნების, როგორც ეროვნულ აგრეთვე საერთაშორისო ვალდებულებას და გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიზანს.

მაგალითი:
თანაბარი მონაწილეობის სამოქმედო გეგმა აღნიშნული მიზნის მისაღწევად ერთერთი გავრცელებული ინსტრუმენტია და სამ ძირითად ნაწილს:

- გენდერულად სეგრეგირებული არსებული სიტუაციური ანალიზი (თანამდებობა,

მაგალითი:

მუნიციპალური დეპარტამენტი 57- ქალაქ ვენის ქალთა დეპარტამენტი(MA 57) პასუხისმგებელია ქალთა საკითხების ლობირებასა და კოორდინაციაზე, ის ახდენს გენდერულად თანასწორი საზოგადოების პრინციპის ადვოკატირებას, რაც ქალებსა და კაცებს აძლევს თანასწორი ცხოვრებისა და მუშაობის შესაძლებლობას.

წყარო: https://www.wien.gv.at/english/social/women

შეფასება და შეჯამება

ნაბიჯი 13 - მონიტორინგი და ორგანიზაციული ცვლილებების მართვა.

მონიტორინგი

- გენდერული მეინსტრიმინგის პროცესის პერმანენტული მონიტორინგი აუმჯობესებს ორგანიზაციის ანგარიშვალდებულებას და უზრუნველყოფს, რომ არ მოხდეს დაწყებული პროცესების შეფერხება ყოველდღიური საქმიანობიდან გამომდინარე.
- მონიტორინგი პრინციპში წარმოადგენს სამოქმედო გეგმის განხორციელების პერმანენტულ კონტროლს, რაც გენდერული მეინსტრიმინგის დამხმარე სტრუქტურის ვალდებულებაა.

ორგანიზაციული ცვლილებების მართვა

- გენდერული მეინსტრიმინგის დამხმარე სტრუქტურა მონიტორინგის პროცესში გამოვლენილი მიგნებებზე დაყრდნობით, შეიძლება ჩართული იყოს ორგანიზაციული ცვლილებების მართვის პროცესში, თუმცა პასუხისმგებლობა პროცესის მართვაზე და შესაბამისი საბოლოო გადაწყვეტილებების მიღებაზე ეკისრება მმართველი რგოლის წარმომადგენლებს

მაგალითი

UNDP-მ გააკეთა მისი 1995-2005 წლების სტრატეგიის შეფასება ეფექტურობის გაზრდის მიზნით, და დაამტკიცა ახალი სტრატეგია 2014-2017 წლებისთვის, რომლის დასრულების შემდგომ დაგეგმილი აქვს სტრატეგიის დამოუკიდებელი შეფასება.

წყარო: http://web.undp.org/evaluation/documents/eo_gendermainstreaming.pdf

http://www.undp.org/content/dam/undp/library/gender/GenderEqualityStrategy2014-17.pdf

მუნიციპალური გენდერული სტატისტიკის წარმოების მეთოდიკა

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლის მე-4 პუნქტით გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებას.

საქართველოს კანონის „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ მე-16 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „1. სახელმწიფო და მუნიციპალიტეტის ორგანოები, საჯარო სამართლის იურიდიული პირები და სხვა ადმინისტრაციული ორგანოები თავიანთი საქმიანობის მიზნების, ამოცანებისა და მოვალეობების გათვალისწინებით აწარმოებენ ოფიციალურ სტატისტიკას საბჭოს მიერ დამტკიცებული/ აღიარებული საერთაშორისო ანალოგების შესაბამისი მეთოდოლოგიისა და სტანდარტების საფუძველზე“.

ამდენად, მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია აწარმოოს მუნიციპალური გენდერული სტატისტიკა. სამწუხაროდ, სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვებისა და დამუშავების კუთხით მუნიციპალიტეტების გამოცდილება და შესაძლებლობებიც საკმაოდ მწირეა. ამის თაობაზე მითითებულია საქართველოს მთავრობის 2019 წ. 31 დეკემბრის N678 დადგენილებით დამტკიცებულ „დეცენტრალიზაციის 2020-2025 წ. სტრატეგიაშიც“, რომლის 3.1.6 აქტივობით მითითებულია, რომ „ერთ-ერთი ძირითადი გამოწვევა, რომელიც აბრკოლებს ადგილობრივ დონეზე ინფორმირებული და დასაბუთებული გადაწყვეტილებების მიღებას, შესაბამისი ინფორმაციისა და სანდო მონაცემების ნაკლებობაა. ამდენად, მნიშვნელოვანია მუნიციპალური სტატისტიკის გაუმჯობესება ერთი მხრივ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, როგორც ქვეყანაში ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებელი ძირითადი უწყების მიერ, ხოლო მეორეს მხრივ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები თავიანთი საქმიანობის მიზნების, ამოცანებისა და მოვალეობების გათვალისწინებით გააუმჯობესებენ ოფიციალური სტატისტიკის წარმოებას.“ ამავე დადგენილებით დამტკიცებული სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმა აქტივობა 3.1.6. ითვალისწინებს 2020 წლის ბოლომდე იმ სტატისტიკურ მონაცემთა იდენტიფიცირებას, რომელიც საჭიროა იწარმოებოდეს მუნიციპალურ დონეზე.

მუნიციპალური გენდერული სტატისტიკა არის მუნიციპალიტეტის ოფიციალური სტატისტიკის შემადგენელი ნაწილი. მოცემული მუნიციპალური გენდერული სტატისტიკის მიზანია დახმარება გაუწიოს მუნიციპალიტეტებს და ხელი შეუწყოს მუნიციპალური სტატისტიკის წარმოების გაუმჯობესებაში.

მუხლი 1. გენდერული სტატისტიკა, მიზანი და მნიშვნელობა

1. გენდერული სტატისტიკა არის სტატისტიკა საზოგადოებრივი და ეკონომიკური საქმიანობის ყველა სფეროში ქალისა და კაცის მდგომარეობის შესახებ, რომელიც საშუალებას იძლევა გათვალისწინებულ იქნეს ქალისა და კაცის, როგორც სოციალურ-დემოგრაფიული

ჯგუფის თავისებურებანი თანაბარი უფლებებისა და შესაძლებლობების პრინციპის ოპტიმალური პოლიტიკის შესამუშავებლად.

2. გენდერული სტატისტიკის მიზანია უზრუნველყოს მიუკერძოებელი მონაცემები შედარებისა და შეფასების გზით, ქალისა და კაცის სტატუსის, გენდერული თანასწორობის რეალური ვითარების შესახებ.

3. სქესის ნიშნით დიფერენცირებული სტატისტიკური აღრიცხვის მიხედვით მონაცემების შეგროვება და სისტემატიზაცია საშუალებას იძლევა:

- მოვახდინოთ დასახლებასა თუ მთლიანად მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის კუთხით არსებული სიტუაციის სისტემური ანალიზი;
- გავაანალიზოთ განვითარების ტენდენციები და კანონზომიერებები;
- მოვახდინოთ განვითარების პროგნოზირება ახლო და შორეული პერსპექტივისთვის;
- გამოვავლინოთ ყველაზე მოწყვლადი სოციალურ–დემოგრაფიული ჯგუფები;
- შევქმნათ ობიექტური ბაზა გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის პოლიტიკის განსაზღვრის ძირითადი მიმართულებების დასადგენად, გენდერულად კორექტული პოლიტიკისა და გეგმების შესამუშავებლად;
- განვახორციელოთ ცვლილებების მონიტორინგი და შევაფასოთ გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის მიმართულებით მიღწეული შედეგები;
- ხელი შევუწყოთ გენდერული სტერეოტიპების აღმოფხვრას.

მუხლი 2. გენდერული სტატისტიკის ძირითადი პრინციპები

მუნიციპალური გენდერული სტატისტიკურ მონაცემების შეგროვება, დამუშავება, გამოყენება და დაცვა ეფუძნება შემდეგ ძირითად პრინციპებს:

- **ობიექტურობა და მიუკერძოებლობა** – მუნიციპალური გენდერული სტატისტიკის მწარმოებლები ვალდებულნი არიან მიუკერძოებლად მოამზადონ უტყუარი სტატისტიკური მონაცემები, ხოლო ხარვეზების აღმოჩენის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ უზრუნველყონ მათი შესწორება;
- **პროფესიული სტანდარტებისა და ეთიკის დაცვა** - მუნიციპალური გენდერული სტატისტიკის მწარმოებლებმა სტატისტიკური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და წარდგენის მეთოდებთან და პროცედურებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები მხოლოდ პროფესიული მოსაზრებების შესაბამისად და პროფესიული ეთიკის გათვალისწინებით უნდა მიიღონ;
- **კონფიდენციალურობა** - მუნიციპალურ გენდერულ სტატისტიკურ ბაზაში შეტანილი მონაცემები არ უნდა იძლეოდეს პირის იდენტიფიცირების შესაძლებლობას. მუნიციპალური გენდერული სტატისტიკის მწარმოებლის მიერ სტატისტიკური მიზნებისათვის შეგროვებული, ფიზიკური და იურიდიული პირების შესახებ მონაცემები მკაცრად კონფიდენციალურია და მხოლოდ სტატისტიკური მიზნებისათვის გამოიყენება;

- **საჯაროობა** - მუნიციპალური გენდერული სტატისტიკური ბაზა საჯაროა და იგი ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა დაინტერესებული პირისთის;
- **კოორდინაცია და ერთიანობა** - მუნიციპალური გენდერული სტატისტიკა არის სტატისტიკის მუნიციპალური და ეროვნული სისტემის შემადგენელი ნაწილი. მუნიციპალური გენდერული სტატისტიკის წარმოება ხდება მუნიციპალური და სახელმწიფო სტატისტიკის წარმოებასთან კოორდინაციით. მუნიციპალური გენდერული სტატისტიკური მონაცემები აისახება მუნიციპალურ სტატისტიკურ ბაზაში და ეგზავნება საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს;

მუხლი 3. გენდერული სტატისტიკის ძირითადი ნაწილები

მუნიციპალური გენდერული სტატისტიკა მოიცავს შემდეგ ძირითად ნაწილებს:

1. დემოგრაფიული მდგომარეობა;
2. ჯანმრთელობის დაცვა;
3. სოციალური უზრუნველყოფა ;
4. განათლება, კულტურა, სპორტი;
5. ბიზნეს სექტორი და შინამეურნეობები;
6. შრომითი რესურსები, დასაქმება და უმუშევრობა;
7. შემოსავლები და ხარჯები;
8. სამართალდარღვევები;
9. ხელისუფლება;
10. სამოქალაქო სექტორი და სამოქალაქო აქტივობა

მუხლი 4. დემოგრაფიული მდგომარეობა

1. მუნიციპალური გენდერული სტატისტიკის მოსახლეობის ნაწილში შეიტანება:
   - მოსახლეობის რიცხოვნობა ეთნიკური შემადგენლობით, ასაკობრივ და გენდერულ ჭრილში ჩაშლილი;
   - დაბადებულთა რაოდენობა და მათი გენდერული თანაფარდობა;
   - ქორწინებისა და განქორწინების რაოდენობა ასაკობრივ მაჩვენებლებით და გენდერულ ჭრილში;
   - ადრეული ქორწინებების რაოდენობა, ადრეულ ქორწინებაში მყოფთა გენდერული თანაფარდობა;
   - მიგრაცია:

     ა) რამდენი იქნა გასული, მათ შორის გადავიდა სხვაგან მუდმივად საცხოვრებლად, გასულია საზღვარგარეთ ასაკობრივ და გენდერულ ჭრილში;

     ბ) რამდენი ადამიანი იქნა შემოსული, მათ შორის ეკომიგრანტი, დევნილი ასაკობრივ და გენდერულ ჭრილში;

- გარდაცვლილთა რაოდენობა და მათი გენდერული თანაფარდობა.

2. მონაცემების შეტანა ხდება დასახლებათა მიხედვით.

მუხლი 5. ჯანმრთელობა

1. მუნიციპალური გენდერული სტატისტიკის ჯანმრთელობის ნაწილში შეიტანება:
   - მუნიციპალური ჯანდაცვის პროგრამების ბენეფიციართა გენდერული თანაფარდობა;
   - ჯანდაცვის მუნიციპალური პროგრამების ფარგლებში ბენეფიციარებზე გაცემული თანხების გენდერული თანაფარდობა
2. ჯანმრთელობის დაცვის მონაცემების შეტანა ხდება მუნიციპალურ დონეზე.

მუხლი 6. სოციალური უზრუნველყოფა

1. მუნიციპალური გენდერული სტატისტიკის სოციალური უზრუნველყოფის ნაწილში შეიტანება:
   - პენსიის მიმღებთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში
   - საარსებო შემწეობის მიმღები პირების რიცხოვნობა გენდერულ ჭრილში
   - მუნიციპალური სოციალური პროგრამების ბენეფიციართა გენდერული თანაფარდობა და სოციალური მუნიციპალური პროგრამების ფარგლებში ბენეფიციარებზე გაცემული თანხების გენდერული თანაფარდობა
   - შშმ პირთა რიცხოვნობა გენდერულ და ასაკობრივ ჭრილში
2. სოციალურ უზრუნველყოფის მონაცემების შეტანა ხდება დასახლებათა მიხედვით.

მუხლი 7. განათლება, კულტურა და სპორტი

1. მუნიციპალური გენდერული სტატისტიკის განათლება, კულტურა და სპორტის ნაწილში შეიტანება:
   - საბავშო ბაღების რაოდენობა აღსაზრდელთა არსებული რაოდენობის მითითებით გენდერულ ჭრილში;
   - საჯარო სკოლების რაოდენობა მათში არსებული მოსწავლეთა რაოდენობის მითითებით გენდერულ ჭრილში;
   - სახელოვნებო სასწავლებლების რაოდენობა მოსწავლეთა რაოდენობის მითითებით გენდერულ ჭრილში;
   - პროფესიული სასწავლებელების რაოდენობა მათი სპეციალიზაციის და გენდერულ ჭრილში მოსწავლეთა რაოდენობის მითითებით;
   - სკოლამდელი აღზრდის, სკოლისგარეშე, სკოლისა და პროფესიულ სასწავლებელთა დირექტორების გენდერული თანაფარდობა

- სკოლამდელი აღზრდის, სკოლისგარეშე, სკოლისა და პროფესიულ სასწავლებელთა აღმზრდელების/პედაგოგების გენდერული თანაფარდობა (სასურველია სასწავლო დისციპლინების მიხედვით)
- მუნიციპალიტეტის მიერ გამართულ ღონისძიებებში (სპორტული, კულტურული, საგანმანათლებლო-შემეცნებითი, ახალგაზრდული და სხვა სახის) მონაწილეთა გენდერული თანაფარდობა;
- კულტურის (კულტურის სახლი, ბიბლიოთეკა, მუზეუმი და სხვ.) მუნიციპალური დაწესებულების მომხმარებელთა გენდერული სტატისტიკა;
- სპორტისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის სფეროში განხორციელებული მუნიციპალური პროგრამების გენდერული სტატისტიკა:
- მუნიციპალური სპორტული პროგრამების მიერ მხარდაჭერილი სპორტული კლუბებისა და გუნდების წევრთა საერთო თანაფარდობაში ქალი/კაცი სპორტსმენების თანაფარდობა;
- სხვადასხვა სპორტული ღონისძიების მონაწილეთა გენდერული თანაფარდობა;
- სპორტულ ცენტრში მოვარჯიშე სპორტსმენთა გენდერული თანაფარდობა;
- ღია სტადიონებისა და სხვა სპორტული ინფრასტუქტურის გამოყენების სიხშირე სხვადასხვა ჯგუფების (ქალები/კაცები/გოგონები/ვაჟების) მიერ;
- მოზარდთა პროცენტული რაოდენობა სოფლების მიხედვით, რომელთათვისაც სპორტული და სახელოვნებო წრეები ხელმისაწვდომია;
- სპორტულ და სახელოვნებო სკოლებში ჩართულ მოსწავლეთა გენდერული თანაფარდობა.

2. განათლების, კულტურისა და სპორტის მონაცემების შეტანა ხდება დასახლებების მიხედვით (სადაც ეს შესაძლებელია) და მუნიციპალურ დონეზე.

მუხლი 8. ბიზნეს სექტორი და შინამეურნეობები

1. მუნიციპალური გენდერული სტატისტიკის ბიზნეს სექტორისა და შინამეურნეობების ნაწილში შეიტანება:

- მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ეკონომიკურ სუბიექტებში, იმ სუბიექტების წილი, რომელსაც ქალები ხელმძღვანელობენ
- კოოპერატივების საერთო რაოდენობაში, იმ კოოპერატივების წილი, რომელსაც ქალები ხელმძღვანელობენ, კოოპერატივების წევრთა გენდერული თანაფარდობა
- შინამეურნეობების განაწილება შინამეურნეობის უფროსის სქესის მიხედვით
- შინამეურნეობების პროცენტული რაოდენობა, რომელიც შენობაში შეყვანილი წყალმომარაგებით სარგებლობს, სოფლების მიხედვით
- შინამეურნეობების პროცენტული რაოდენობა, რომელიც გაზიფიცირებულია, სოფლების მიხედვით

2. ბიზნეს სექტორისა და შინამეურნეობების მონაცემების შეტანა ხდება დასახლებების მიხედვით (სადაც ეს შესაძლებელია) და მუნიციპალურ დონეზე.

მუხლი 9. შრომითი რესურსები, დასაქმება და უმუშევრობა

1. მუნიციპალური გენდერული სტატისტიკის შრომითი რესურსების, დასაქმებისა და უმუშევრობის ნაწილში შეიტანება:

- შრომისუნარიანი მოსახლეობის რაოდენობა გენდერულ ჭრილში;
- დასაქმებულ პირთა რაოდენობა საქმიანობის სფეროების მიხედვით (სოფლის მეურნეობა, მშენებლობა, მრეწველობა, საჯარო სექტორი, მომსახურეობა და ვაჭრობა, განათლება, ჯანდაცვა და ა.შ.) გენდერულ ჭრილში;
- 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის განაწილება ეკონომიკური აქტივობის მიხედვით ასაკობრივი ჯგუფების და სქესის მიხედვით;
- დასაქმებულ ქალთა განაწილება განათლების დონის მიხედვით
- თვითდასაქმებულთა განაწილება მომუშავის სტატუსის (ა)მეწარმე, მეურნე, დამქირავებელი; ბ)მეწარმე, მეურნე, დაქირავებული პირების გარეშე; გ)ოჯახურ საწარმოში ან ახლობლისთვის უსასყიდლოდ მომუშავე პირი) მიხედვით გენდერულ ჭრილში;
- უმუშევართა განაწილება სქესისა და განათლების დონის მიხედვით
- უმუშევარ პირთა რაოდენობა პროფესიების მიხედვით გენდერულ ჭრილში.

2. შრომითი რესურსების, დასაქმებისა და უმუშევრობისს მონაცემების შეტანა ხდება დასახლებების მიხედვით (სადაც ეს შესაძლებელია) და მუნიციპალურ დონეზე.

მუხლი 10. შემოსავლები და ხარჯები

1. მუნიციპალური გენდერული სტატისტიკის შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილში შეიტანება:

- დასაქმების სახეების მიხედვით (საჯარო სექტორი, არასამთავრობო სექტორი, მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ვაჭრობა, განათლება, ჯანდაცვა, კულტურა, სპორტი და ა.შ.) დასაქმებულ პირთა საშუალო შემოსავალი გენდერულ ჭრილში;
- საშუალო თვიური შემოსავლების განაწილება ერთ შინამეურნეობაზე შინამეურნეობის უფროსის სქესის მიხედვით
- საშუალო თვიური ხარჯების განაწილება ერთ შინამეურნეობაზე შინამეურნეობის უფროსის სქესის მიხედვით
- ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა შრომის საშუალო თვიური ანაზღაურება გენდერულ ჭრილში

2. შემოსავლებისა და ხარჯების მონაცემების შეტანა ხდება მუნიციპალურ დონეზე.

მუხლი 11. სამართალდარღვევები

1. მუნიციპალური გენდერული სტატისტიკის სამართალდარღვევების ნაწილში შეიტანება:

- მსჯავრდადებულთა რაოდენობა დანაშაულის სახეების მიხედვით გენდერულ ჭრილში;
- პრობაციონერთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში;
- დაზარალებულ პირთა სტატისტიკური მონაცემები გენდერულ ჭრილში;
- სტატისტიკური მონაცენები ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა და მოძალადეთა რაოდენობის შესახებ სქესის მითითებით.

2. სამართალდარღვევათა მონაცემების შეტანა ხდება მუნიციპალურ დონეზე.

მუხლი 12. ხელისუფლება

1. მუნიციპალური გენდერული სტატისტიკის ხელისუფლების ნაწილში შეიტანება:

- ქალთა წარმომადგენლობა მუნიციპალიტეტის საკრებულოში (საკრებულოს წევრი ქალების რიცხობრივი რაოდენობა და პროცენტული წილი საკრებულოს წევრებს შორის, საკრებულოს ფრაქციების თავმჯდომარეთა შორის ქალთა პროცენტული წილი, კომისიის თავმჯდომარეთა შორის ქალთა პროცენტული რაოდენობა);
- მუნიციპალიტეტის თანამშრომელთა შორის ქალებისა და მამაკაცების პროცენტული თანაფარდობა;
- თანამშრომელთა გენდერულად დაყოფილი მონაცემები თანამდებობრივი პოზიციების მიხედვით;
- სახელფასო ფონდის განაწილება გენდერული ნიშნით (ინდიკატორები: ქალ თანამშრომლებზე ხელფასების სახით გაცემული საერთო თანხის ოდენობა, ხელფასებზე გაცემული საერთო თანხის რამდენი % გაიცა თანამშრომელ ქალებზე, მუნიციპალიტეტის თანამშრომელ ქალების საშუალო ხელფასი/მამაკაცი თანამშრომლების საშუალო ხელფასი, მუნიციპალიტეტის თანამშრომელთა სახელფასო გენდერული სხვაობა);
- პრემიებზე გაცემული თანხის განაწილება გენდერული ნიშნით (ინდიკატორები: თანამშრომელ ქალებზე/კაცებზე გაცემული პრემიების რაოდენობა, თანამშრომელ ქალებზე/კაცებზე გაცემული პრემიების თანხის საერთო ოდენობა, პრემიების სახით გაცემული თანხის საერთო ოდენობის პროცენტული განაწილება ქალებსა და კაცებზე, ქალებზე /კაცებზე გაცემული პრემიების საშუალო ოდენობა);
- სახელფასო დანამატების განაწილება გენდერული ნიშნით (ინდიკატორები: თანამშრომელ ქალებზე/კაცებზე გაცემული დანამატების რაოდენობა, თანამშრომელ ქალებზე/კაცებზე გაცემული დანამატების თანხის საერთო ოდენობა, დანამატებზე გაცემული თანხის პროცენტული განაწილება ქალებსა და კაცებზე, ქალებზე /კაცებზე გაცემული სახელფასო დანამატის საშუალო ოდენობა);

- სამივლინებო თანხების განაწილება გენდერული ნიშნით (ინდიკატორები: თანამშრომელი ქალების/კაცების მივლინებების რაოდენობა, თანამშრომელ ქალებზე/კაცებზე გაცემული სამივლინებო თანხები, გაცემული სამივლინებო თანხების პროცენტული განაწილება ქალებსა და კაცებზე, ქალებზე/კაცებზე გაცემული სამივლინებო ხარჯის საშუალო ოდენობა);
- საწვავავის შესაძენად გაცემული თანხების განაწილება გენდერული ნიშნით;
- თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე დახარჯული თანხები გენდერულ ჭრილში;
- დეკრეტული შვებულებით მოსარგებლე ქალი/კაცი თანამშრომლების რიცხვი;
- მუნიციპალური საწარმოებისა და მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში მყოფი ორგანიზაციების სტრუქტურის გენდერული პროფილი (თანამშრომელთა გენდერული განაწილება პოზიციების მითითებით, ხელფასების, დანამატების, პრემიების, სამივლინებო ხარჯების, კვალიფიკაციის ამაღლებაზე დახარჯული თანხების გენდერული განაწილება)

2. ხელისუფლების სტატისტიკურ მონაცემების შეტანა ხდება მუნიციპალურ დონეზე.

მუხლი 13. სამოქალაქო სექტორი და სამოქალაქო აქტივობა

1. მუნიციპალური გენდერული სტატისტიკის სამოქალაქო სექტორისა და სამოქალაქო აქტივობის ნაწილში შეიტანება:

- მუნიციპალიტეტის მიერ შეხვედრებში, საჯარო მოსმენებში, სოფლის კრებებში და სხვა სახის აქტივობებში მონაწილეთა გენდერული თანაფარდობა;
- არასამთავრობო ორგანიზაციათა საერთო რაოდენობა და იმ ორგანიზაციების წილი, რომელსაც ქალები ხელმძღვანელობენ
- არასამთავრობო ორგანიზაციების წევრთა გენდერული თანაფარდობა
- ქალთა ორგანიზაციების, სოფლის ქალთა საინიციატივო ჯგუფების რაოდენობა

2. სამოქალაქო სექტორისა და სამოქალაქო აქტივობის სტატისტიკურ მონაცემების შეტანა ხდება მუნიციპალურ დონეზე.

მუხლი 14. სტატისტიკური მონაცემთა შეგროვება, დამუშავება და გამოქვეყნება

1. სტატისტიკურ მონაცემთა შეგროვება იწყება ცალკეული სფეროებისა და დარგების მიხედვით ინფორმაციის თავმოყრით, რაც გულისხმობს სხვადასხვა წყაროებიდან უკვე შეგროვებული ინფორმაციის სელექცია–საისტემატიზაციას, ხოლო საჭიროების შემთხვევაში დამატებითი ინფორმაციის მოპოვებას ან ინფორმაციის შევსებას.

2. ინფორმაციის წყაროებია:

ა) სახელმწიფო ოფიციალური სტატისტიკა;

ბ) ადგილობრივი ოფიციალური სტატისტიკა;

გ) საჯარო და კერძო სტატისტიკური კვლევები;

დ) მუნიციპალური სამსახურები, იურიდიული პირები და სხვა საჯარო დაწესებულებები;

ე) საჯარო და სამოქალაქო რეესტრები;

ვ) კერძო წყაროები (მედია, არასამთავრობო ორგანიზაციები, საწარმოები, მოქალაქეები).

3. თავმოყრილი ინფორმაციის დამუშავება ნიშნავს სხვადასხვა წყაროებიდან მოპოვებული ინფორმაციის ურთიერთშედარებას, საჭიროების შემთხვევაში გადამოწმებას, უტყუარი ინფორმაციის გარკვევას და სტატისტიკური სტანდარტებით გათვალისწინებულ ფორმაში მოყვანას.

4. სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვებასა და დამუშავებას ახდენს მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახური.

5. ის სტატისტიკური მონაცემები, რომელიც არ მოიპოვება ამ მუხლის მე–2 პუნქტით განსაზღვრულ წყაროებში, შესაგროვებლად გადაეცემა მერის წარმომადგენლებს, რომელიც გამოკითხვის მეთოდით ანკეტირების ფორმით ახდენს ამ ინფორმაციის შევსებას და შესაბამის სამსახურისთვის გადაგზავნას. მერის წარმომადგენელს აგრეთვე გადასამოწმებლად შეიძლება გადაეგზავნოს ამ მუხლის მე–2 პუნქტით განსაზღვრული წყაროებიდან მიღებული სტატისტიკური მონაცემები.

6. მერიის შესაბამისი სამსახური უზრუნველყოფს მუნიციპალური გენდერული სტატისტიკურ მონაცემთა დამუშავებას, სისტემატიზაციას, უგზავნის მონაცემებს გენდერულ თანასწორობაზე მუნიციპალიტეტში პასუხისმგებელ პირს და უზრუნველყოფს მათ ასახვას მუნიციპალურ სტატისტიკურ ბაზაში.

მუხლი 15. მუნიციპალური გენდერული სტატისტიკური მონაცემების განახლება

1. მუნიციპალური გენდერული სტატისტიკური მონაცემები ექვემდებარება ყოველთვიურ განახლებას, ხოლო ხარვეზების აღმოჩენის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ გასწორებას.

2. მუნიციპალური გენდერული სტატისტიკური მონაცემების განახლებაზე პასუხისმგებელია მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახური, რომელიც პერიოდულად, მერის წარმომადგენლებისა და სტატისტიკური ინფორმაციის წყაროებიდან მიღებული მონაცემების საფუძველზე ახდენს მუნიციპალურ სტატისტიკურ ბაზაში შესაბამის შესწორებათა შეტანას.

3. მუნიციპალური გენდერული სტატისტიკური მონაცემები კონფიდენციალობისა და ანონიმურობის პრინციპების დაცვით განთავსდება მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე და ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა დაინტერესებული პირისთვის.

მუნიციპალიტეტის მოსახლეობის გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის საჭიროებათა კვლევის მეთოდიკა

მუხლი 1. მიზანი

1. მოსახლეობის გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის საჭიროებათა კვლევის მიზანია, მუნიციპალიტეტს ჰქონდეს ყოველწლიური, განახლებადი ინფორმაცია გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებებისა და პრიორიტეტების შესახებ, რაც დაეხმარება მუნიციპალურ ორგანოებს მოსახლეობის საჭიროებების შესაბამისი მუნიციპალური ბიუჯეტის ფორმირებასა და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებაზე მიმართული აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელებაში.

2. კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაცია, გახდება საფუძველი მუნიციპალიტეტის საქმიანობის, მუნიციპალური პროგრამებისა და სერვისების დაგეგმარება/განხორციელების პროცესში ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებების გასათვალისწინებლად.

მუხლი 2. კვლევის ამოცანები

გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის საჭიროებათა კვლევის ამოცანებია:

- მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საჭიროებების ძირითადი მახასიათებლებისა და ინდიკატორების გამოვლენა თვისებრივი სოციოლოგიური კვლევის მეშვეობით;
- შედგენილი სპეციალური კითხვარის მეშვეობით მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საჭიროებების გაზომვა და შეფასება;
- გამოკითხვის გზით სოციალური ცხოვრების სხვადასხვა სფეროში არსებული საჭიროებების იდენტიფიკაცია;
- კონსოლიდირებული ანალიტიკური ანგარიშის შემუშავება, რომელშიც წარმოდგენილი იქნება მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საჭიროებები და მათი რანჟირება მუნიციპალიტეტის და დასახლებების დონეებზე;

მუხლი 3. კვლევის მეთოდი:

1. კვლევის მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად გამყენებული იქნება სოციოლოგიური კვლევის როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი მეთოდები.

2. სოციოლოგიური კვლევა ჩატარდება შემდეგი მეთოდების გამოყენებით:

- პირისპირ (face to face) ინტერვიუ სპეციალური კითხვარით (დანართი N1);
- ცალკეული დასახლების კვლევა დასახლების განვითარების შეფასების სპეციალური კითხვარის საშუალებით (დანართი N2);

- ფოკუს ჯგუფები დასახლებების წარმომადგენლებთან

მუხლი 4. სამიზნე ჯგუფი

1. საჭიროებათა კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს მუნიციპალიტეტში შემავალი ადმინისტრაციული ერთეულის, ქალაქის, დაბისა და სოფლის მოსახლეობა.

2. სოციოლოგიური კვლევა ტარდება მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში საარჩევნო ასაკის (18 წლის და ზემოთ) მოსახლეობაში შემთხვევითი შერჩევის მეთოდით დასახლების მოსახლეობის პროპორციის გათვალისწინებით.

მუხლი 5. საველე სამუშაოები:

1. საველე სამუშაოებს ახორციელებს მერის წარმომადგენელი ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა ნებაყოფლობითი ჩართულობით.

2. კვლევები ტარდება ყოველწლიურად, ყოველი წლის იანვარ-თებერვალში.

3. საველე სამუშაოს დაწყებამდე მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ, ყოველი წლის ბოლოს ხდება ინფორმაციის გამოთხოვა:

- სოციალური სააგენტოდან, სოციალურად დაუცველი პირებისა და მათი სარეიტინგო ქულების შესახებ;
- საჯარო რეესტრიდან მიწის რეგისტრაციის შესახებ

მუხლი 6. მონაცემთა სისტემატიზაცია და ანალიზი

1. კვლევის შედეგების სისტემატიზაცია ხდება შემდეგ ბლოკებად:

- ჯანდაცვა
- განათლება
- სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა
- საყოფაცხოვრებო პირობები
- შრომითი მიგრაცია
- ინფორმირებულობა, სხვადასხვა მედიით და ინტერნეტით სარგებლობა.

2. დასახლებათა მიხედვით კვლევის შედეგების სისტემატიზაციას ახდენს მერის წარმომადგენელი და შედეგებს ყოველი წლის 1 მარტამდე უგზავნის მერიის შესაბამის სამსახურს, რათა საჭიროებები იქნეს ასახული მომავალი წლის პრიორიტეტების დოკუმენტის, ადგილობრივი ბიუჯეტის და მუნიციპალური პროგრამების პროექტებში.

ჩატარებული კვლევის შედეგები საჯაროა. კვლევის შედეგები ქვეყნდება მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ გვერდზე და ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა დაინტერესებული პირისთვის.

დანართი N1

ნიმუში-კითხვარი

ინდივიდუალური კითხვარი

ქალთა საინფორმაციო ცენტრი

საჭიროებების შეფასება - 2021

კითხვარი

ინტერვიუერის კოდი: [ ] კითხვარის კოდი: [ ]

ინტერვიუს ჩატარების თარიღი: [ ]
დღე, თვე, წელი

ინტერვიუს დაწყების დრო: [ ]
საათი, წუთი

სოციო-დემოგრაფიული ნაწილი

რესპონდენტის ასაკი: [ ]

რესპონდენტის სქესი: [ ]

რესპონდენტის საცხოვრებელი ადგილი: [ ]

ქვემოთმოყვანილი ჩამონათვალიდან რომელი შეესაბამება თქვენს მიერ მიღებული განათლების ყველაზე მაღალ საფეხურს?

დაწყებითი განათლება	1
არასრული საშუალო განათლება	2
საშუალო განათლება	3
პროფესიული განათლება	4

ვსწავლობ ბაკალავრიატში	5
არასრული უმაღლესი განათლება	6
დავასრულე ბაკალავრიატი	7
ვსწავლობ მაგისტრატურაში	8
დავასრულე მაგისტრატურა	9
ვსწავლობ დოქტურანტურაში	10
მაქვს სამეცნიერო ხარისხი	11
არ უპასუხა	-1

მუშაობთ თუ არა?

არ ვმუშაობ	1
ვმუშაობ ნახევარ განაკვეთზე	2
ვმუშაობ	3
თვითდასაქმებული ვარ	4
ვმუშაობ საკუთარ მიწის ნაკვეთზე	5
დიასახლისი ვარ	6
სტუდენტი ვარ	7
პენსიონერი ვარ	8
არ უპასუხა	-1

შეაფასეთ თქვენი ცოდნის დონე ენების ფლობის თვალსაზრისით:

	მშობლიური 1	ძალიან კარგად 2	კარგად 3	საშუალოდ 4	ცუდად 5
ქართული					
ინგლისური					
რუსული					
სხვა (რომელი)					

არ უპასუხა					

ჯანდაცვა

ხელმისაწვდომია თუ არა თქვენი დასახლებისათვის სასწრაფო დახმარების მომსახურება?

☐ დიახ ☐ არა

თუ კი, რამდენად ხარისხიანად მიგაჩნიათ სასწრაფო დახმარების მომსახურება?

☐ ძალიან ხარისხიანი ☐ საშუალო ხარისხისაა
☐ ხარისხიანია ☐ ცუდი ხარისხისაა

შეგიძლიათ თქვენივე სოფელში მიიღოთ ამბულატორიული მომსახურება?

☐ დიახ ☐ არა

გისარგებლიათ თუ არა საქართველოს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით?

☐ დიახ ☐ არა

თუ კი, კმაყოფილი დარჩით თუ არა მიღებული სერვისით?

☐ ძალიან კმაყოფილი ☐ არც თუ ისე კმაყოფილი
☐ კმაყოფილი ☐ უკმაყოფილო

სად იღებთ თქვენ და თქვენი ოჯახი სამედიცინო მომსახურებას?

☐ თბილისში
☐ გურჯაანში ☐ სხვა _____

ხელმისაწვდომია თუ არა თქვენთვის სკრინინგის პროგრამა (მკერდისა და საშვილოსნოს ყელის უფასო პროფილაქტიკური გამოკვლევა)? ☐ დიახ ☐ არა ☐ არ ვიცი

გისარგებლიათ თუ არა სკრინინგის პროგრამით? ☐ დიახ ☐ არა

თუ კი, სად ისარგებლეთ სკრინინგის პროგრამით?

_____

რა მიგაჩნიათ თქვენი სოფლის მცხოვრებლებისათვის ძირითად ბარიერებად ხარისხიანი სამედიცინო მომსახურების მისაღებად?

1 _____

2 _____

3 _____

განათლება

როგორ შეაფასებდით თქვენ დასახლებაში არსებულ საჯარო სკოლას?

☐ დამაკმაყოფილებელ ☐ კარგია (3)

☐ არა დამაკმაყოფილებელია (☐ ძალიან კარგია (4)

ბაღის ასაკის ბავშვი, რომ გყავდეთ ოჯახში, ხელმისაწვდომი იქნება თუ არა მისთვის საბავშვო ბაღი? ☐ დიახ ☐ არა

თუ არა, რა მიზეზის გამო, არ არის ბაღი ხელმისაწვდომი?

_____

როგორ შეაფასებდით საბავშვო ბაღს, რომელშიც თქვენი დასახლების ბავშვები დადიან?

☐ დამაკმაყოფილებელ ☐ ძალიან კარგია (4)

☐ არა დამაკმაყოფილებელია (☐ კარგია (3)

სკოლის ასაკის ბავშვი ან ახალგაზრდა თუ გყავთ/ან რომ გყავდეთ ოჯახში, ხელმისაწვდომია/ ხელისაწვდომი იქნებოდა თუ არა მისთვის სპორტული წრეები?

☐ დიახ ☐ არა

თუ არა, დაასახელეთ მიზეზი/მიზეზები?

სკოლის ასაკის ბავშვი თუ გყავთ/ან რომ გყავდეთ ოჯახში, ხელმისაწვდომია /ხელისაწვდომი იქნებოდა თუ არა მისთვის სახელოვნებო/მუსიკალური წრეები?

☐ დიახ ☐ არა

თუ არა, დაასახელეთ ამის მიზეზი/მიზეზები?

თქვენი აზრით, თქვენი სოფლის ახალგზარდებისათვის უმაღლესში მოსახვედრად საჭიროა თუ არა რეპეტიტორთან მომზადება?

☐ დიახ ☐ არა

თქვენი დასახლების აბიტურიენტები სად ემზადებიან რეპეტიტორებთან?

რა სიძნელეები ახლავს რეპეტიტორთან მომზადებას?

სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა

ჩვენი ოჯახი ამუშავებს მიწის ფართობს, რომელიც ზომით:

☐ ½ ჰექტარიდან - 1 ჰექტარამდე;
☐ 1,5 ჰექტარიდან - 2 ჰექტარამდე
☐ 2- ჰექტრზე დიდი ზომისაა

☐ ნახევარ ჰექტარამდეა

რა სახის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას ეწევა თქვენი ოჯახი:

	მიუთითეთ, რომელი საქმიანობიდან იღებთ ფულად შემოსავლებს	
ციტრუსის მოყვანა	1	
თხილის მოყვანა	2	
სიმინდის მოყვანა	3	
საოჯახო ბოსტანი	4	
სხვა კულტურების მოყვანა	5	
მეცხოველეობა (მსხვილფეხა საქონელი):	6	
რძის პროდუქტების წარმოება	6.1	
ხორცის წარმოება	6.2	
მეცხოველეობა (წვრილფეხა საქონელი)	7	
ღორების მოშენება	8	
შინაური ფრინველების მოშენება	9	
მეფუტკრეობა	10	

რამდენს შეადგენს თქვენი საოჯახო ბოსტნის ზომა:

☐ 100 კვ. მეტრამდე ☐ 100-200 კვ. მეტრია ☐ 200-300 კვ.მ ☐ 300 კვ.მეტრზე მეტი:

ბოსტნეულზე ოჯახის მოთხოვნილების დაახლოებით რამდენ %-ს აკმაყოფილებს საოჯახო ბოსტანი?

აკმაყოფილებს ოჯახის მოთხოვნლების დაახლოებით _____ %-ს

რა ძირითადი პრობლემები უშლის ხელს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის შემდგომ განვითარებას?

რა პრობლემებს ხედავთ თქვენს სოფელში მეცხოველეობის განვითარების თვალსაზრისით?	1
	2

	3
	4
რა პრობლემებს ხედავთ თქვენს სოფელში მიწათმოქმედების განვითარების თვალსაზრისით?	1
	2
	3
	4
რა პრობლემებს ხედავთ თქვენს სოფელში სახელმწიფოს მიერ სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის პროგრამებზე ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით?	1
	2
	3
	4
რა პრობლემებს ხედავთ თქვენს სოფელში სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისათვის საჭირო კრედიტებზე ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით?	1
	2
	3
	4

თქვენი ოჯახის შემოსავალი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობიდან ბოლო წლების მანძილზე შემცირდა თუ გაიზარდა?	☐ შემცირდა ☐ ოდოვეა ☐ გაიზარდა

არიან თუ არა ახალგზარდები ჩართული სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში?

☐ მცირე ნაწილი ☐ ახალგაზრდების ნახევარი ☐ ახალგაზრდების უმრავლესობა

აქვთ თუ არა ახალგაზრდებს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის თანამედროვე მეთოდების

ათვისების ინტერესი?

☐ მცირე ნაწილი ☐ ახალგაზრდების ნახევარი ☐ ახალგაზრდების უმრავლესობა

საყოფაცხოვრებო პირობები

რა შეადგენს თქვენი ოჯახის შემოსავლებს?

შემოსავლის სახე	% წილი ოჯახის საერთო შემოსავალში	
ოჯახის წევრი ქალის ხელფასი	1	
ოჯახის წევრი მამაკაცის ხელფასი	2	
ოჯახის წევრი ქალის პენსია	3	
ოჯახის წევრი მამაკაცის პენსია	4	
სოციალური დახმარება	5	
შემოსავალები სამეწარმეო საქმიანობიდან	6	
შემოსავლები სასოფლო-სამეურნეო საქმიანობიდან	7	
საზღვარგარეთ მომუშავე ოჯახის ქალი წევრის ფულადი გზავნილები	8	
საზღვარგარეთ მომუშავე ოჯახის მამაკაცი წევრის ფულადი გზავნილები	9	
უარი პასუხზე	-1	

საცხოვრებლის გათბობა:

ჩემი საცხოვრებელი გაზიფიცირებულია	1
სახლი თბება გაზის ცენტრალური გათბობით	2
სახლი თბება გაზის ლოკალური გამათბობელით	3
გასათბობად ვიყენებთ დენის გამათბობელებს	4
გასათბობად ვიყენებთ შეშას	5
უარი პასუხზე	-1

ოჯახის უზრუნველყოფა სასმელი წყლით (შესაძლებელია რამდენიმე შესაბამისი პასუხის შემოხაზვა):

წყალი შეყვანილია სამზარეულოში	1
წყალი შეყვანილია სააბაზანოში	2
წყლის ონკანი განთავსებულია ეზოში	3
სასმელის წყლის მოტანა მუდმივად გვიხდება ეზოს გარეთ არსებული წყაროდან;	4
თუ ასეა, რა მანძილზეა წყალი დაშორებული თქვენი სახლიდან _____	
წყლის არარეგულარული მოწოდების დროს გვიხდება წყლის მოტანა ეზოს გარეთ არსებული წყლის წყაროდან:	5
თუ ასეა, რა მანძილზეა წყალი დაშორებული თქვენი სახლიდან _____	
თუ ასეა, რა სიხშირით გიხდებათ გარე წერტილიდან წყლის მოტანა _____	
უარი პასუხზე	-1

როგორია სასმელი წყლის მიწოდების რეჟიმი და მიწოდების შეფერხებები:

სასმელი წყალი უწყვეტად 24 საათის განმავლობაში მოგვეწოდება	1
სასმელი წყალი მოგვეწოდება გარკვეული გრაფიკით, კერძოდ: _____	2
სასმელი წყლის მოწოდებაში არის გარკვეული სეზონური შეფერხებები:	3
- ზაფხულში	3.1
- ზამთარში	3.2
სასმელი წყლის მოწოდება პერიოდულად ფერხდება სხვადასხვა მიზეზით: _____	4
უარი პასუხზე	-1

სასმელი წყლის რაოდენობა და ხარისხი:

მოწოდებული სასმელი წლის რაოდენობა საკმარისია	1
მოწოდებული სასმელი წყლის რაოდენობა არასაკმარისია	2
საჭიროა წყლის მარაგის გაკეთება	3

ოჯას აქვს რეზერვუარი (ბაკი) წყლის მარაგის გასაკეთებლად	4
სასმელი წყლის ხარისხი კარგია	5
სასმელი წყლის ხარისხი დამაკმაყოფილებელია	6
სასმელი წყლის ხარისხი ცუდია	7
უარი პასუხზე	-1

თქვენს ოჯახი სარგებლობს თუ არა:

ავტომატური სარეცხი მანქანით	1
არაავტომატური სარეცხი მანქანით	2
ავტომატური ჭურჭლის სარეცხი მანქანით	3
სამზარეულოში ცხელი წყლით	4
სააბაზანოში ცხელი წყლით	5
უარი პასუხზე	-1

კომუნიკაცია და ინფორმირებულობა

რა სიხშირით სარგებლობთ ინტერნეტით?

ყოველდღე	1
კვირაში რამდენჯერმე	2
კვირაში ერთხელ	3
თვეში ერთხელ	4
იშვიათად	5
არასდროს	6
უარი პასუხზე	-1

რა მიზნით იყენებთ ინტერნეტს?

ელექტრონული ფოსტისათვის	1
ვიყენებ სოციალურ ქსელებს მაგალითად	2
Facebook	2a
Twitter	2b

Instagram	2c
Одноклассники	2d
контакты	2e
სხვა სოციალური ქსელები	2f
ვეცნობი ინფორმაციას სხვადასხვა ინტერნეტ-საიტებიდან. კერძოდ:	3
1	3.1
2	3.2
3	3,3
გასართობად ვიყენებ	4
ბლოგერი ვარ	5
ვეცნობი ბლოგებს	6
ვიყენებ ინტერნეტს პოლიტიკურ და საზოგადოებრივ საკითხებზე აზრის გამოსათქმელად	7
არ ვიცი	-1
უარი პასუხზე	-2

რა წყაროებიდან იღებთ ინფორმაციას სოციალურ და პოლიტიკურ პროცესების შესახებ?

სოციალური ქსელებიდან	1
სხვადასხვა ინტერნეტ- საიტებიდან	2
ტელევიზიიდან	3
რადიოდან	4
გაზეთებიდან	5
ჟურნალებიდან	6
ბროშურებიდან	7
სკოლიდან	8
უმაღლესი სასწავლებლიდან	9
რელიგიური ლიდერებიდან	10
სოფლის თავშეყრის ადგილიდან (ე.წ. ბირჟა)	11
სხვა წყაროებიდან:	12

1	
2	
3	
არ ვიცი	-1
არ უპასუხა	-2

რომელ სატელევიზიო არხებს უყურებთ?

ქართული არხები	1
1	
2	
3	
რეგიონული ტელევიზია	3
1	
2	
3	
სხვა:	5
1	
2	
3	
არ ვიცი	-1
არ უპასუხა	-2

ადგილობრივი განვითარება

თქვენს ოჯახს დამატებითი შემოსავლები რომ გაუჩნდეს, პირველ რიგში რა მიმართულებით დახარჯავდით, რა პრობლემებს მოაგვარებდით ან რას შეიძენდით:

J1.1.	
J1.2.	
J1.3.	
J1.4.	
J1.5.	

რა პოზიტიური ცვლილებებს ჰქონდა ადგილი ბოლო წლების მანძილზე, რამაც დადებითად იმოქმედა თქვენზე და თქვენს ოჯახზე?

1	
2	
3	
4	

რა ნეგატიური ცვლილებებს ჰქონდა ადგილი ბოლო წლებში, რამაც უარყოფითად იმოქმედა თქვენზე და თქვენს ოჯახზე?

1	
2	
3	
4	

მუნიციპალიტეტის ჯანდაცვის პროგრამები:

იცნობთ თუ არა თქვენი მუნიციპალიტეტის ჯანდაცვის პროგრამებს?	დიახ	არა

გისარგებლიათ თუ არა თქვენ, თქვენი ოჯახის წევრებს, ან თქვენი სოფლის მაცხოვრებლებს მუნიციპალიტეტის ჯანდაცვის პროგრამებით?	დიახ	არა
თუ კი, კმაყოფილი დარჩით თუ არა?	დიახ	არა
შენიშვნა		

მუნიციპალიტეტის სოციალური პროგრამები

იცნობთ თუ არა თქვენი მუნიციპალიტეტის სოციალურ პროგრამებს?	დიახ	არა
გისარგებლიათ თუ არა თქვენ, თქვენი ოჯახის წევრებს, ან თქვენი სოფლის მაცხოვრებლებს მუნიციპალიტეტის სოციალურ პროგრამებით?	დიახ	არა
თუ კი, კმაყოფილი დარჩით თუ არა?	დიახ	არა
შენიშვნა		

იცნობთ თუ არა თქვენი მუნიციპალიტეტის ან/და სახელმწიფოს მიერ სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის პროგრამებს?	დიახ	არა
გისარგებლიათ თუ არა თქვენ, თქვენი ოჯახის წევრებს, ან თქვენი სოფლის მაცხოვრებლებს მუნიციპალიტეტის ან/და სახელმწიფოს მიერ სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის პროგრამებით?	დიახ	არა
თუ კი, კმაყოფილი დარჩით თუ არა?	დიახ	არა
შენიშვნა		

თქვენი სოფლისათვის აუცილებელ რა პროგრამას ჩასვამდით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში?

დანართი N2

ნიმუში-კითხვარი 2

სოფლის განვითარების შეფასების ინსტრუმენტი

1	**ძირითადი მონაცემები**			
1.1	სოფლის სახელწოდება			
1.2	რომელ ტერიტორიულ ერთეულში (თემში) შედის თქვენი სოფელი?			
1.3	რომელ მუნიციპალიტეტში შედის თქვენი სოფელი?			
1.4	რომელ რეგიონს მიეკუთვნება თქვენი სოფელი?			
1.5	სოფლის მოსახლეობის რაოდენობა			
	რამდენი მაცხოვრებელია სოფელში	სულ	კაცი	ქალი
		0	0	0
	დაასახელეთ წყარო, რომლის მიხედვითაც ასახელებთ მაცხოვრებლების რაოდენობას			
1.6	მოსახლეობის განაწილება ასაკის მიხედვით			

			სულ	კაცი	ქალი
	როგორია სოფლის მოსახლეობის განაწილება ასაკის მიხედვით?	0-2 წლამდე	0		
		2-6 წლამდე	0		
		6-15 წლამდე	0		
		15-18 წლამდე	0		
		18-60 წლამდე	0		
		60-65 წლამდე	0		
		65-მეტი	0		
1.7	შშმ პირების განაწილება ასაკის მიხედვით				
	ცხოვრობენ თუ არა თქვენს სოფელში შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე (შშმ) პირები	შშმ პირები	სულ	კაცი	ქალი
		0-2 წლამდე	0		
		2-6 წლამდე	0		
		6-15 წლამდე	0		
		15-18 წლამდე	0		
		18-60 წლამდე	0		
		60-65 წლამდე	0		
		65-მეტი	0		
1.8	შინამეურნეობების რაოდენობა, მათ შორის რომლებსაც ქალები/კაცები უძღვებიან		სულ	ქალი	კაცი
			0		
1.9	სოციალურად დაუცველი ოჯახების საერთო რაოდენობა				
	რამდენი სოციალურად დაუცველი ოჯახია	ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულა 30 001-ზე ნაკლებია			

	თქვენს სოფელში?	ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულაა 30 001 -დან 57 001 ქულამდე		
		ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულაა 57 001 -დან 60 001 ქულამდე		
		ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულაა 60 001 -დან 65 001 ქულამდე		
		ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულაც 100 001-ზე ნაკლებია		
1.10	სოფლის ტერიტორია-ფართობი (ჰექტარი)			0
	რა ფართობს მოიცავს სოფლის ტერიტორია?	კერძო საკუთრება		
		მუნიციპალიტეტის საკუთრება		
		ცენტრალური ხელისუფლების საკუთრება		☐
სოფლის ინფრასტრუქტურა (გზა, ტრანსპორტი, განათება,წყალმომარაგება, გაზიფიცირება)				
2	**გზა**			
2.1	როგორია სოფლამდე მისასვლელი გზა?			
2.2	რამდენი კილომეტრია მუნიციპალიტეტის ცენტრიდან თქვენს სოფლამდე?			
2.3	ჯამურად რამდენი კილომეტრია სოფლის შიდა გზები?			
2.4	რა მდგომარეობაშია სოფლის შიდა გზები?			
2.5				შიდა გზების საფარი
	შიდა გზების რამდენი	2.5.1	მოასფალტებული	

	პროცენტია:	2.5.2	ბეტონის გზა		
		2.5.3	ხრეშოვანი გზა		
		2.4.4	გრუნტის გზა		
		2.4.5	სხვა		
2.6	აქვს თუ არა სოფლის შიდა გზებს ტროტუარები?				
	თუ კი, შიდა გზების რამდენ პროცენტს აქვს ტროტუარი?				
2.7	აქვს თუ არა სოფლის გზებს წყალამრიდი სისტემა?				
	რამდენად გამართულად მუშაობს გზების წყალამრიდი სისტემა?				
	რა პერიოდულობით იწმინდება ეს სისტემა?				
3	**გარე განათება**				
3.1	არის თუ არა სოფელში გარე განათება?				
	თუ კი, შიდა გზების რამდენ პროცენტს მოიცავს გარე განათება?				
4	**საზოგადოებრივი ტრანსპორტი**				
4.1	ემსახურება თუ არა სოფელს საზოგადოებრივი ტრანსპორტი?				
4.2	თუ კი, რა სახის ტრანსპორტი? და რა გრაფიკით?				
4.3	რამდენი ადამიან ფლობს საკუთრებაში თქვენ სოფელში ავტოისატრანსპორტო საშუალებას		სულ	კაცი	ქალი
			0		
5	**წყალმომარაგება**				
5.1	რა სახისაა სოფლის წყალმომარაგების წყარო:				
	ა) სოფელს მაგისტრალური მილსადენით მიეწოდება წყალი				

	ბ) სოფელს წყალმომარაგების ინდივიდუალური წყარო აქვს	
5.2	იმ შემთხვევაში თუ სოფელს საკუთარი წყალმომარაგების წყარო აქვს, დაახასიათეთ წყალმომარაგების წყარო, როგორ ხდება წყლის მიღება, მოგროვება, როგორია სათავე ნაგებობა?	
5.3	როგორ არის დაცული სათავე ნაგებობის უსაფრთხოება?	
5.4	ვინ არის პასუხისმგებელი სათავე ნაგებობის გამართულ მუშაობაზე?	
5.5	როგორია თქვენი სოფლის მიერ მოხმარებული სასმელი წყლის ხარისხი?	
5.6	ხორციელდება თუ არა წყლის ხარისხის კონტროლი? თუ კი, რა გზით ხორციელდება? რა პერიოდულობით? ვინ არის პასუხისმგებელი სასმელი წყლის ხარისხის კონტროლზე? არსებობს თუ არა სასმელი წყლის კონტროლის გეგმა?	
5.7	რამდენად ხშირია თქვენ სოფელში სასმელი წყლით მოწამვლის ფაქტები?	
5.8	დაახასიათეთ სასმელი წყლის გადამცემი და გამანაწილებელი ქსელი:	
	რამდენად სწორად არის დაპროექტებული წყლის გამანაწილებელი სისტემა?	
	რა სახის მილებით ხორციელდება წყლის მიწოდება?	
	რა ძირითადი პრობლემები აქვს წყლის გამანაწილებელ სისტემას?	
	ხშირად გამოდის თუ არა ის მწყობრიდან?	
5.9	ვინ არის პასუხისმგებელი წყლის გამანაწილებელი ქსელის გამართულ მუშაობაზე?	

5.11	სოფლის ყველა ოჯახს მიეწოდება თუ არა სასმელი წყალი?		
	თუ არა, სოფლის ოჯახების რა რაოდენობაა დარჩენილი წყლის მიწოდების გარეშე?		
5.12	დაახასიათეთ სასმელის წყლის გამანაწილებელი ქსელის მიერ სოფლის დაფარვის მდგომარეობა	ოჯახების რაოდენობა	
		ოჯახების რაოდენობა, სადაც წყალი ეზომდეა მიყვანილი.	
		ოჯახების რაოდენობა, სადაც წყალი ეზოშია შეყვანილი.	
		ოჯახების რაოდენობა, სადაც წყალი შენობაშია შეყვანილი.	
		ოჯახების რაოდენობა , სადაც შეყვანილია წყალი სამზარეულოში.	
		ოჯახები სასმელი წყლის მიწოდების გარეშე.	
5.13	დაყენებულია თუ არა წყლის მრიცხველები თქვენს სოფელში?		
5.14	თქვენს სოფელში გამოიყენება თუ არა სასმელი წყალი მოსარწყავად?		
5.15	არის თუ არა თქვენს სოფელში ხელმისაწვდომი სარწყავი წყალი? (დადებითი პასუხის შემთხვევაში გთხოვთ დააკონკრეტოთ სასოფლო სამეურნეო სავარგულების რამდენ %-ს მიუწვდება ხელი სარწყავ წყალზე და რა პერიოდულობით)		
5.16	როგორია წყლის მიწოდების რეჟიმი?		
	სოფელს წყალი 24 საათიანი რეჟიმით მიეწოდება		
	სოფელს წყალი გრაფიკით მიეწოდება (დაახასიათეთ კერძოდ, რა გრაფიკით)		

5.17	რამდენად ხშირია წყლის მიწოდების შეფერხებები?	
	რა არის ძირითადად, შეფერხების მიზეზები	
5.18	არსებობს თუ არა თქვენს სოფელში წყალარინების (კანალიზაციის) სისტემა?	
	ოჯახების რამდენ პროცენტს აქვს კანალიზაცია?	
	არის ცენტრალური კანალიზაცია	
	არის ადგილობრივი კანალიზაციის სისტემა	
6	**დასუფთავება**	
6.1	ოჯახიდან ნაგვის გატანა სად ხდება:	
	ნაგვის მანაქანა და რა პერიოდულობით მოდის?	
	არის თუ არა საკმარისი რაოდენობით ნაგვის ბუნკერები ?	
	ხდება თუ არა საერთო ტერიტორიის დასუფთავება?	
	არის თუ არა სოფლის ნაგავსაყრელი ?	
	თუ არა სოფლის ხევში, ან რა ადგილებში ყრის მოსახლეობა ნაგავს?	
	ხდება თუ არა ასეთი ადგილების პერიოდული დასუფთავება ?	

7	**გაზიფიცირება, ალტერანტიული ენერგიების გამოყენება**	
7.1	გაზიფიცირებულია თუ არა თქვენი სოფელი?	
7.2	თუ კი, ოჯახების რამდენი პროცენტია გაზიფიცირებული?	
7.3	ზამთარში სახლის გათბობის ძირითადი საშუალება რა არის თქვენს სოფელში?	
7.4	ოჯახების რამდენ პროცენტსა აქვს ცენტრალური გათბობა?	
	რა საწვავს იყენებენ ცენტრალური გათბობისათვის?	
7.5	თქვენს სოფელში მოსახლეობის რამდენი პროცენტი თბება შეშის ღუმელით?	
7.6	რამდენი ოჯახი იყენებს თქვენს სოფელში შეშის ღუმელებს?	
7.7	როგორ ხდება საშეშე მასალით უზრუნველყოფა?	
7.8	რამდენი ოჯახი იყენებს თქვენს სოფელში ბიოგაზის დანადგარს?	
7.9	რამდენი ოჯახი იყენებს თქვენს სოფელში მზის ბატარეებს?	
8	**საოჯახო ტექნიკა**	
8.1	ოჯახების დაახლოებით რამდენი პროცენტი სარგებლობს თქვენს სოფელში ავტომატური სარეცხი მანქანით?	
8.2	ოჯახების დაახლოებით რამდენი პროცენტი სარგებლობს თქვენს სოფელში ჭურჭლის სარეცხი მანქანით?	
8.3	ოჯახების დაახლოებით რამდენი პროცენტსა აქვს სამზარეულოში ცხელი წყალი?	
8.4	ოჯახების დაახლოებით რამდენი პროცენტსა აქვს სააბაზანოში ცხელი წყალი?	
განათლება		
9	**ბაღი**	

9.1	არის თუ არა თქვენს სოფელში საბავშვო ბაღი?	
9.2	რამდენი ბავშვი დადის ბაღში?	
9.3	ფუნციონირებს თუ არა ბაგის ჯგუფი?	
9.4	თუ თქვენს სოფელში არ არის ბაღი, რომელ ბაღში/ბაღებში დადიან ბავშვები? და რამდენი კილომეტრია დაშორება სოფლიდან?	
9.5	საჭიროა თუ არა სკოლამდელი ასაკის ბავშვების ტრანსპორტით უზრუნველყოფა? თუ კი, რა სახის ტრანსპორტით სარგებლობენ ბავშვები ბაღში მისასვლელად?	
9.6	თქვენი სოფლის სკოლამდელი ასაკის ბავშვების რამდენი პროცენტი არ დადის ბაღში? რა არის ამის მიზეზი?	
9.7	გარემონტებულია თუ არა საბავშვო ბაღი?	
9.8	როგორ არის აღჭურვილი საბავშვო ბაღი ინვენტარით, სათამაშოებითა და სასწავლო მასალებით?	
9.9	როგორ მიეწოდება ბაღს წყალი:	
	წყალი მილსადენიდან შენობაში	☐

	წყალი მილსადენიდან ეზოში				☐
	სხვაგვარად	☐			
9.10	აღწერეთ, როგორი სანიტარული კვანძი აქვს ბაღს:				
	სანკვანძი მიერთებულია ცენტრალურ საკანალიზაციო სისტემაზე;				☐
	ბაღს აქვს ადგილობრივი საკანალიზაციო სისტემა,				☐
	ბაღს აქვს კოლექტორული ტუალეტი				☐
9.11	როგორია ბაღის გათბობის სისტემა?				
10	**სკოლა**				
10.1	არის თუ არა სოფელში საჯარო სკოლა?				
10.2	რამდენი მოსწავლე სწავლობს სკოლაში?		სულ	ბიჭი	გოგო
		დაწყებით საფეხურზე (1-6) კლასები	0		
		საბაზო საფეხურზე (7-9) კლასები	0		
		საშუალო საფეხურზე (10-12) კლასები	0		
10.3	თუ არ არის სოფელში სკოლა, რომელ სკოლაში/სკოლებში დადიან მოსწავლეები?				
10.4	საჭიროა თუ არა მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა და ფუნქციონირებს თუ არა სასკოლო ტრანსპორტი?				
10.5	გარემონტებულია თუ არა სკოლა?				

10.6	როგორია სკოლის გათბობის სისტემა?	
10.7	არის თუ არა აღჭურვილი სკოლა სათანადო რაოდენობის კომპიუტერებით?	
10.8	არის თუ არა სკოლა აღჭურვილი ინტერნეტით?	
10.9	აქვს თუ არა სკოლას ბიბლიოთეკა?	
10.10	აქვს თუ არა თქვენი სოფლის სკოლას სპორტული დარბაზი? რა მდგომარეობაშია სპორტული დარბაზი?	
10.12	სკოლას აქვს თუ არა ღია სათამაშო მოედანი? რა მდგომარეობაშია სპორტული დარბაზი?	
10.13	როგორ მიეწოდება სკოლას წყალი:	
	წყალი მილსადენიდან შენობაში	
	წყალი მილსადენიდან ეზოში	
	სხვაგვარად	
10.14	აღწერეთ, როგორი სანიტარული კვანძი აქვს სკოლას:	
	სანკვანძი მიერთებულია ცენტრალურ საკანალიზაციო სისტემაზე;	
	სკოლას აქვს ადგილობრივი საკანალიზაციო სისტემა;	

	სკოლას აქვს კოლექტორული ტუალეტი			
10.15	როგორია სკოლის გათბობის სისტემა?			
10.16	რამდენ ადამიანს აქვს უმაღლესი განათლება თქვენს სოფელში	სულ	კაცი	ქალი
		0		
ხელმისაწვდომობა ჯანდაცვის სერვისებზე				
11	**ჯანდაცვა**			
11.1	არის თუ არა თქვენს სოფელში ამბულატორია?			
11.2	თუ თქვენს სოფელში არ არის ამბულატორია, სად არის უახლოესი?			
11.3	დაახასიათეთ ადგილობრივი ამბულატორიის ძლიერი და სუსტი მხარეები (ინფრასტუქტურა, ექიმების კვალიფიკაცია, ექთნების კვალიფიკაცია, მომსახურების სახეები, სამუშაო საათები, პაციენტებთან დამოკიდებულება)			
11.4	ხელმისაწვდომია თუ არა თქვენი დასახლებისათვის სასწრაფო დახმარების მომსახურება?			
11.5	თუ კი, რამდენად ხარისხიანად მიგაჩნიათ სასწრაფო დახმარების მომსახურება? რა ძლიერ და სუსტ მხარეებს გამოყოფდით?			
11.6	სად მშობიარობენ თქვენი სოფლის მაცხოვრებელი ქალები? კმაყოფილები არიან თუ არა ორსულობის დროს სამედიცინო შემოწმების ხარისხით და სამშობიაროს მომსახურებით?			

11.7	თქვენი სოფლისათვის სად არის უახლოესი აფთიაქი?	
11.8	ხელმისაწვდომია თუ არა თქვენი სოფლის მაცხოვრებლებისათვის მკერდის, საშვილოსნოს ყელის, პროსტატის უფასო სკრინინგის პროგრამა? თუ კი, სად სარგებლობენ სკრინინგის პროგრამით?	
კულტურა, სპორტი, თავისუფალი დრო		
12	**კულტურა, სპორტი, თავისუფალი დრო**	
12.1	არის თუ არა თქვენს სოფელში კულტურის სახლი?	
12.2	თუ კი, რა სახის ღონისძიებები იმართება კულტურის სახლში?	
12.3	არის თუ არა თქვენს სოფელში ბიბლიოთეკა?	
12.4	თუ კი, აღწერეთ ბიბლიოთეკის ინფრასტრუქტურა, რამდენია წიგნადი ფონდი, აღჭურვილია თუ არა კომპიუტერებით და ინტერნეტით?	
12.5	სოფლის ბავშვებს სახელოვნებო წრეებში ჩართვის რა შესაძლებლობები აქვთ? სად და რა ტიპის სახელოვნებო წრეებში? (მუსიკა, ცეკვა, სიმღერის გუნდი, ხატვა, საბავშვო დრამატული წრე და ა.შ.)	
12.6	თქვენი სოფლის ბავშვებსა და ახალგაზრდებს სპორტულ სექციებში ჩართვის რა შესაძლებლობები აქვთ? სად და რა სპორტულ სექციებში შეუძლიათ ჩაერთონ?	
12.7	არის თუ არა თქვენს სოფელში სტადიონი?	

12.8	თუ კი, აღწერეთ სად მდებარეობს და როგორაა აღჭურვილი?	
12.9	ძირითადად რა ტიპის თამაშებისათვის გამოიყენება სტადიონი?	
12.10	რამდენად ხშირად იყენებენ სტადიონს ბავშვები?	
12.11	ბიჭები უფრო იყენებენ სტადიონს თუ გოგონები?	
12.12	თუ გოგონებიც იყენებენ სტადიონს, რა ტიპის სპორტულ ღონისძიებებში არიან გოგონები ჩართული?	
12.13	არის თუ არა სოფელში ღია სატრენაჟორო მოედანი?	
12.14	არის თუ არა სოფელში სპორტული დარბაზი?	
12.15	როგორ ატარებენ სოფლის ბავშვები თავისუფალ დროს?	
12.16	როგორ ატარებენ სოფლის ახალგაზრდები თავისუფალ დროს?	
12.17	როგორ ატარებენ ქალები თავისუფალ დროს?	
12.18	როგორ ატარებენ კაცები თავისუფალ დროს?	
12.19	რა ძირითად დღესასწაულებს აღნიშნავენ სოფლის მცხოვრებლები ერთობლივად?	
	როგორ ხდება ამ დღესასწაულების აღნიშვნის ორგანიზება?	
12.20	არის თუ არა სოფელში თავშეყრის ადგილი?	

	კერძოდ, რა სახის?	
საინფორმაციო საკომუნიკაციო საშუალებები		
13	**კომუნიკაცია, ტელევიზია, სოციალური მედია**	
13.1	თქვენს სოფელში მობილური სატელეფონო კავშირის რომელ პროვაიდერს აქვს დაფარვა?	
13.2	მობილური კავშირი ხელმისაწვდომია თუ არა მთელი სოფლის ტერიტორიაზე?	
13.3	მობილური კავშირის რომელი პროვაიდერია ყველაზე პოპულარული თქვენს სოფელში?	
13.4	რომელი სატელევიზიო არხებია ხელმისაწვდომი თქვენს სოფელში?	
13.5	რომელი სატელევიზიო არხებია პოპულარული თქვენს სოფელში?	
13.6	რომელი ადგილობრივი ტელევიზია ვრცელდება თქვენს სოფელში?	
13.7	ადგილობრივ ტელევიზიაში რამდენად ხშირად არის სიუჟეტი თქვენს სოფელზე?	
13.8	ინტერნეტი რა სახით არის ხელმისაწვდომი თქვენს სოფელში, ჩამოთვალეთ ძირითადი ინტერნეტ პროვაიდერები	
13.9	ოჯახების რამდენი პროცენტი სარგებლობს ინტერნეტით?	
13.10	ძირითადად ახალგაზრდები სარგებლობენ ინტერნეტით, თუ სხვა ასაკობრივი კატეგორიის წარმომადგენლებიც?	
13.11	თქვენი სოფლის მაცხოვრებლების რამდენი პროცენტი იყენებს სოციალურ ქსელებს, ძირითადად, რომელ სოციალურ ქსელებს იყენებენ?	
შრომითი საქმიანობა, შემოსავლის წყაროები		

14	სოფლის მეურნეობა	
14.1	რა არის თქვენი სოფლის მცხოვრებთა ძირითადი შემოსავლის წყარო?	
14.2	თქვენი სოფელში მცხოვრებ ოჯახებს, ძირითადად რა ზომის მიწის ნაკვეთები აქვთ?	
14.3	თქვენ სოფელში რა სახის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა ხორციელდება?	
14.4	რომელი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაა ყველაზე შემოსავლიანი?	
14.5	სად და რა გზით ყიდიან თქვენი სოფლის მაცხოვრებლები სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას?	
14.6	როგორ არის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა განაწილებული ქალებსა და მამაკაცებს შორის?	
14.7	დაახლოებით რამდენი წვრილფეხა და მსხვილფეხა შინაური ცხოველი ყავს თითოეულ ოჯახს?	
14.8	რამდენად ხელმისაწვდომია თქვენი სოფლისათვის საძოვრები?	
14.9	რამდენად ხელმისაწვდომია თქვენი სოფლისათვის სათიბები?	
14.1	რა სახის ტექნიკა გამოიყენება თქვენს სოფელში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესრულებისას?	
14.11	თქვენს სოფლებში რამდენს შეადგენს საოჯახო ბოსტნის ზომა?	
14.12	რა საბოსტნე კულტურები მოჰყავთ თქვენი სოფლის მცხოვრებლებს?	
14.13	ბოსტნეულზე ოჯახის მოთხოვნილების დაახლოებით რამდენ %-ს აკმაყოფილებს საოჯახო ბოსტანი?	

14.14	რამდენად ხელმისაწვდომია თქვენი სოფლისათვის სარწყავი წყალი? დაახასიათეთ, სარწყავი წყლის არსებული სისტემა	
14.15	დაახასიათეთ თქვენს სოფელში სხვადასხვა ქიმიური სასუქებისა და პრეპარატების გამოყენების არსებული პრაქტიკა	
14.16	ხელმისაწვდომია თუ არა თქვენი სოფლისათვის ვეტერინარის მომსახურება?	
14.17	ხელმისაწვდომია თუ არა თქვენი სოფლისათვის აგრონომის მომსახურება?	
14.18	თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიებზე ახალი ცოდნის მიღების რა შესაძლებლობებს იყენებენ თქვენი სოფლის მცხოვრებლები?	
14.19	არის თუ არა თქვენს სოფელში დიდი ზომის ფერმები? როგორც მეცხოველეობის, ისე სამიწათმოქმედო?	
14.2	არის თუ არა თქვენს სოფელში კოოპერატივები? თუ კი, რამდენი?	
14.21	მოქმედებს თუ არა თქვენს სოფელში რაიმე სახის კერძო ბიზნესი? გთხოვთ, ჩამოთვალოთ (მაგალითად: მაღაზია, აფთიაქი, საცხობი, სავაჭრო ადგილი სოფლის მოსახლეობისათვის, სილამაზის სალონი, რძის პროდუქტის გადამამუშავებელი საწარმო, ხილის გადამამუშავებელი საწარმო და ა.შ.)	
14.22	გარდა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისა, დასაქმების რა შესაძლებლობებია თქვენს სოფელში?	

14.23	არის თუ არა თქვენს სოფელში ისტორიული ძეგლები? (გთხოვთ ჩამოთვალოთ და აღწეროთ როგორია მათი მდგომარეობა და რამდენად ხელმისაწვდომი და მნიშვნელოვანია სოფლის ტურისტული პოტენციალის გაზრდისათვის)			
15	**შემოსავლები**			
15.1	გთხოვთ მიუთითოთ სოფელში დასაქმებულთა საშუალო თვიური შემოსავალი კაცის/ქალის	სულ	კაცი	ქალი
		0		
16	**სამუშაოს ძიება საქართველოს ქალაქებში და შრომითი მიგრაცია**			
16.1	რამდენად ფართოდაა გავრცელებული თქვენს სოფელში საქართველოს ქალაქებში გადასვლა დასაქმების მიზნით?			
16.2	ძირითადად, საქართველოს რომელ ქალაქში მიდიან თქვენი სოფლის მაცხოვრებლები დასაქმების მიზნით?			
16.3	რამდენად ფართოდაა გავრცელებული თქვენს სოფელში შრომითი მიგრაცია?			
16.4	ძირითადად რომელ ქვეყნებში არიან თქვენი სოფლიდან სამუშაოდ წასულები?			
16.5	ძირითადად, ქალები არიან საზღვარგარეთ წასული თუ კაცები?			
17	**სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები**			
17.1	არსებობს თუ არა თქვენს სოფელში ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია? თუ კი, დაგვისახელეთ:			
17.2	არსებობს თუ არა თქვენს სოფელში სათემო ორგანიზაცია ან საინიციატივო ჯგუფი?			
17.3	არსებობს თუ არა თქვენს სოფელში ქალთა ორგანიზაცია? ან ქალთა ჯგუფი?			

17.4	არსებობს თუ არა თქვენს სოფელში ახალგაზრდული ორგანიზაცია? ან ახალგაზრდული საინიციატივო ჯგუფი?	
17.5	რომელი ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები ახორციელებენ პროექტებს თქვენს სოფელში?	

მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს კომუნიკაციის სტრატეგიის დოკუმენტის შემუშავების მეთოდიკა

მუხლი 1. გენდერული თანასწორობის საბჭოს კომუნიკაციის სტრატეგის მნიშვნელობა და მიზანი

1. გენდერული თანასწორობის საბჭოს კომუნიკაციის სტრატეგია არის საზოგადოებასთან ურთიერთობის პროცესის ინსტიტუციონალიზაციისა და სისტემური მიდგომის ჩამოყალიბებისთვის აუცილებელი მექანიზმი.

2. მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს კომუნიკაციის სტრატეგიის დოკუმენტის შესამუშავებლად კვლევის ჩატარების მიზანია არსებული მდგომარეობის შესწავლისა და გაანალიზების საფუძველზე გამოიკვეთოს ის პრობლემები და გამოწვევები, რომელთა წინაშეც დგას საბჭო საზოგადოებასთან კომუნიკაციის კუთხით და მომზადდეს შესაბამისი რეკომენდაციები, რომლის საფუძველზეც განისაზღვრება საბჭოს საზოგადოებასთან კომუნიკაციის მისია, ხედვა, მთავარ პრინციპები და ამოცანები, რომელთა საფუძველზეც მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო შეიმუშავებს და განახორციელებს საინფორმაციო და სხვა სახის ღონისძიებებს, განსაზღვროს კომუნიკაციის

ის საშუალებები, რომელთა გამოყენებაც საშუალებას მისცემს მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს დაამყაროს ეფექტური კომუნიკაცია სამიზნე შიდა და გარე აუდიტორიასთან და დაინტერესებულ ჯგუფებთან.

მუხლი 2. კვლევის ამოცანები

კვლევის ამოცანებია:

- გენდერული თანასწორობის საბჭოს შიდა და გარე აუდიტორიასთან და დაინტერესებულ ჯგუფებთან კომუნიკაციის არსებული მდგომარეობის შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე კომუნიკაციის ხელისშემშლელ გარემოებათა გამოკვეთა;
- სოციოლოგიური კვლევის მეშვეობით ეფექტიანი კომუნიკაციისათვის საჭირო ძირითადი მახასიათებლებისა და ინდიკატორების გამოვლენა;
- შედგენილი სპეციალური კითხვარის მეშვეობით მუნიციპალიტეტის ორგანოებთან და მოსახლეობასთან კომუნიკაციის ეფექტიანი საშუალებების განსაზღვრა;
- კომუნიკაციის სფეროში მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა

მუხლი 3. კვლევის მეთოდი

1. გენდერული თანასწორობის საბჭოს კომუნიკაციის სტრატეგიის დოკუმენტის შესამუშავებლად კვლევა ტარება მოწვეული ექსპერტის ან/და ექპერტთა ჯგუფის მიერ.

2. კვლევის მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად გამოყენებული იქნება სოციოლოგიური კვლევის შემდეგი მეთოდები:

- „სამაგიდო კვლევა“ - გაანალიზდება საბჭოს დებულება, მისი სამოქმედო გეგმა, საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდი და სოციალური გვერდი;
- სამუშაო შეხვედრები და პირისპირ (face to face) ინტერვიუ გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებთან და მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირებთან სპეციალური კითხვარით (დანართი N1);
- პირისპირ (face to face) ინტერვიუ ადგილობრივ მოსახლეობასთან სპეციალური კითხვარით (დანართი N2);
- SWOT (Strengths, Weaknesses, Opportunities, Threats) ანალიზი. ამ მეთოდის გამოყენებით გაანალიზდება საბჭოს არსებული მდგომარეობა მისი ძლიერი და სუსტი მხარეების გამოსავლენად, რომლის საფუძველზეც მომზადდება რეკომენდაციები საზოგადოებასთან წარმატებული კომუნიკაციის დასამყარებლად.

მუხლი 4. სამიზნე ჯგუფი

კომუნიკაციის სტრატეგიის დოკუმენტის შემუშავების მიზნით ჩასატარებელი კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს:

- მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო,
- მუნიციპალიტეტის საკრებულოსა თანამდებობის პირები,
- მუნიციპალიტეტის და მერიის თანამდებობის პირები;
- მუნიციპალიტეტის მოსახლეობა.

მუხლი 5. კვლევის ჩატარების პროცესი და ეტაპები

1. საკომუნიკაციო სტრატეგიის დოკუმენტის შემუშავების მიზნით ჩატარებული სამუშაო მოიცავს ოთხ ეტაპს:

2. პირველ ეტაპზე მოწვეული ექსპერტის ან/და ექპერტთა ჯგუფის მიერ ტარდება „სამაგიდო კვლევა". გამოთხოვილი იქნება, შეისწავლება და გაანალიზდება:

- მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის სტრატეგია,
- მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულება და მისი სამოქმედო გეგმა,
- გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები,
- გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომის ოქმები,
- მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდი და სოციალური გვერდი.

3. მეორე ეტაპზე მოწვეული ექსპერტის ან/და ექპერტთა ჯგუფის მიერ

1. ტარდება პირისპირ ინტერვიუები:

- გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებთან;
- მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირებთან;
- ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან;
- მოსახლეობასთან (შერჩევითი პრინციპით).

2. ტარდება სამუშაო შეხვედრები:

- მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირებთან;
- გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებთან.

4. მესამე ეტაპზე მოწვეული ექსპერტის ან/და ექპერტთა ჯგუფის მიერ ხდება დოკუმენტაციის, ინტერვიუებისა და სამუშაო შეხვედრების გაანალიზება და მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის SWOT ანალიზი.

5. მეოთხე ეტაპზე მოწვეული ექსპერტისა ან/და ექპერტთა ჯგუფის მიერ:

- დგება კომუნიკაციის სტრატეგიის დოკუმენტის პროექტის ზოგადი დებულებები და ტარდება სამუშაო შეხვედრა გენდერული თანასწორობის საბჭოსთან.
- კორექტირებული მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს კომუნიკაციის სტრატეგიის დოკუმენტის პროექტი წარედგინება გენდერული თანასწორობის საბჭოს

დანართი N1

კითხვები მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირებისათვის:

- რა გზებით ხდება მუნიციპალიტეტის თანამშრომლებს შორის ინფორმაციის გავრცელება? რა შიდა მექანიზმები არსებობს ინფორმაციის გავრცელების? (მაგ: ელ.პროგრამა და ა.შ)
- რა გზებით აწვდის გენდერული თანასწორობის საბჭო ინფორმაციას საკრებულოს წევრებს, მერიის სამსახურის თანამშრომლებს, სიპ-ებისა და აიპ-ების თანამშრომლებს?
- რა სახის ინფორმაციას ავრცელებს მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო ადგილობრივ მოსახლეობაში?
- რა სიხშირით ავრცელებს მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო ინფორმაციას?
- რა საკომუნიკაციო არხები აქვს მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ინფორმაცის გასავრცელებლად (როგორც მუნიციპალურ ცენტრში, ასევე სოფლებში)
- რა გამოწვევებისა და დაბრკოლებების წინაშე დგას ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო ინფორმაციის გავრცელების კუთხით?
- გთხოვთ მოგვაწოდოთ ინფორმაცია, მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს, კონკრეტულად რომელ სამიზნე ჯგუფებთან სჭირდება ხელშეწყობა ინფორმაციის გავრცელების კუთხით.

დანართი N2

კითხვარი მოსახლეობისთვის:

რესპონდენტის სახელი გვარი _____

რესპოდენტის სქესი _____

რესპონდენტის ასაკი _____

რესპონდენტის საცხოვრებელი ადგილი _____

1. გაქვთ თუ არა ინფორმაცია მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს არსებობის შესახებ?

   ○ კი ○ არა

   თუ კი გთხოვთ დაგვიკონკრეტოთ რას საქმიანობს მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო?

   .....
   .....

2. გაქვთ თუ არა ინფორმაცია მუნიციპალიტეტში არსებული პროგრამების შესახებ?

   ○ კი ○ არა

   თუ კი, გთხოვთ ჩამოგვითვალოთ:

   .....
   .....

3. გაქვთ თუ არა ინფორმაციას მუნიციპალიტეტში არსებული სერვისების შესახებ?

   ○ კი ○ არა

   თუ კი, გთხოვთ ჩამოგვითვალოთ:

   .....
   .....

4. გაქვთ თუ არა ინფორმაცია მუნიციპალიტეტში არსებული ქალთა ოთახის შესახებ?

   ○ კი ○ არა

   თუ კი, თუ გისარგებლიათ ქალთა ოთახის სერვისით?

   ○ კი ○ არა

5. რომელ სატელევიზიო არხებს უყურებთ?

   .....
   .....
   .....
   .....

6. რომელ რადიოს უსმენთ?

   .....
   .....
   .....
   .....

7. იყენებთ თუ არა ინტერნეტს/ სოციალურ მედიას?

   ○ კი ○ არა

8. რომელ სოციალურ მედიას იყენებთ და რა სახის ინფორმაციას იღებთ სოციალური მედიიდან?

   .....
   .....
   .....

9. გთხოვთ ჩამოთვალოთ, რა საინფორმაციო გზებით იღებთ ინფორმაციას მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით?

   .....
   .....
   .....

10. რომელია ყველაზე ეფექტური გზა, თქვენს თემში ინფორმაციის გასავრცელებლად?
.....
.....
.....
11. როგორ ფიქრობთ, რომელ ენაზეა მისაღები ინფორმაციის გავრცელება თქვენს თემში?
.....
.....
.....

თანამონაწილეობითი გენდერული აუდიტის მეთოდიკა

მუხლი 1. თანამონაწილეობითი გენდერული აუდიტი

1. მუნიციპალიტეტებში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისა და გენდერული მეინსტრიმინგის ხელშესაწყობად მნიშვნელოვანია თანამონაწილეობითი გენდერული აუდიტის ჩატარება.

2. თანამონაწილეობითი გენდერული აუდიტი წარმოადგენს თანამონაწილეობით პრინციპზე დაფუძნებულ პროცესს, რომელიც:

- განსაზღვრავს თუ რამდენად ეფექტურად არის ორგანიზაციაში დანერგილი და მოქმედი კომპლექსური გენდერული მიდგომები და რამდენად ქმედითია ამ მიდგომების განსახორციელებლად ჩამოყალიბებული სისტემა;
- აკვირდება და აფასებს გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის პროგრესს;
- ადგენს გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის შეფასების საბაზისო კრიტერიუმებს;
- წარმოაჩენს გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის სფეროში არსებულ ხარვეზებსა და პრობლემებს;
- ადგენს რეკომენდაციებს გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის სფეროში არსებული პრობლემების გადასაწყვეტად;
- ახდენს გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის საუკეთესო პრაქტიკის გამოვლენას

მუხლი 2. თანამონაწილეობითი გენდერული აუდიტის მიზანი

თანამონაწილეობითი გენდერული აუდიტის მიზანია კომპლექსური გენდერული მიდგომების დანერგვა მუნიციპალურ ორგანოთა საქმიანობაში, მუნიციპალურ პოლიტიკასა და მუნიციპალურ პროგრამებში, ასევე შეფასება თუ რამდენად არის გენდერული მიდგომები ასახული მუნიციპალურ ორგანოების, მათი სტრუქტურული ერთეულების თუ თანამშრომელთა საქმიანობაში.

მუხლი 3. თანამონაწილეობითი გენდერული აუდიტის ამოცანები

თანამონაწილეობითი გენდერული აუდიტის ამოცანებია:

- ხელი შეუწყოს დაწესებულებების და თანამშრომელთა საქმიანობაში კომპლექსური გენდერული მიდგომების აღქმასა და მათი გამოყენების დანერგვას;
- გენდერულად მგრძნობიარე საქმიანობასა და მომსახურებაში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის ხარისხის შეფასება;
- საუკეთესო პრაქტიკის, აგრეთვე იმ მეთოდებისა და წესების გამოვლენა, რომელთა დახმარებითაც შესაძლებელი გახდა კომპლექსური გენდერული მიდგომების დანერგვა;
- შეაფასოს იმ რესურსების მოცულობა, რაც იქნა გამოყოფილი კომპლექსური გენდერული მიდგომების დასანერგად;
- შეაფასოს რამდენად გენდერულად მგრძნობიარეა ორგანიზაციის საკადრო პოლიტიკა;
- შეაფასოს თუ როგორ აღიქმება ხელმძღვანელობისა და თანამშრომლების მიერ გენდერული თანასწორობის საკითხი;
- განსაზღვროს რამდენად პრიორიტეტულია გენდერული თანასწორობის საკითხი როგორც მუნიციპალური პოლიტიკის და მუნიციპალური ორგანოების საქმიანობის და ასევე, შიდა ორგანიზაციულ დონეებზე.
- ჩამოაყალიბოს დაწესებულებაში კომპლექსური გენდერული მიდგომების დანერგვის ის საწყისი, საბაზისო პრინციპები და კრიტერიუმები, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელი გახდება შემდგომში გენდერული მდგომარეობის პერმანენტული შეფასება;
- შეაფასოს მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმით მიღწეული პროგრესი და საჭიროების შემთხვევაში, შეიმუშავოს რეკომენდაციები მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის სტრატეგიაში, მუნიციპალური პოლიტიკის სხვა დოკუმენტებსა თუ მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმაში ცვლილებების შესატანად.

მუხლი 4. თანამონაწილეობითი გენდერული აუდიტის მეთოდოლოგია

1. თანამონაწილეობითი გენდერული აუდიტის ტარდება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ შემუშავებული თანამონაწილეობითი გენდერული აუდიტის (PGA) მეთოდოლოგიით.

2. თანამონაწილეობითი გენდერული აუდიტი ტარება მოწვეული სერტიფიცირებული ექსპერტისა ან/და ექპერტთა ჯგუფის მიერ.

მუხლი 5. თანამონაწილეობითი გენდერული აუდიტის ჩატარების პროცესი და ეტაპები

თანამონაწილეობითი გენდერული აუდიტი მოიცავს ხუთ ეტაპს:

პირველ ეტაპზე მოწვეული სერტიფიცირებული ექსპერტისა ან/და ექპერტთა ჯგუფის მიერ ხდება დანართი N1 დადგენილი დოკუმენტაციის გამოთხოვა და შესწავლა.

მეორე ეტაპზე მოწვეული სერტიფიცირებული ექსპერტისა ან/და ექპერტთა ჯგუფის მიერ ტარდება პირისპირ ინტერვიუები:

- დაწესებულების ხელმძღვანელებთან;
- დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებთან;
- გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებთან;
- დაწესებულების თანამშრომლებთან.

მესამე ეტაპზე მოწვეული სერტიფიცირებული ექსპერტისა ან/და ექპერტთა ჯგუფის მიერ:

- ტარება დოკუმენტაციისა და ჩატარებული ინტერვიუების ანალიზი;
- საჭიროების შემთხვევაში, ტარდება დამატებითი გასაუბრება დაწესებულების ხელმძღვანელებთან, გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებთან და დაწესებულების თანამშრომლებთან;
- ტარდება სემინარი დაწესებულების ხელმძღვანელი პირებისთვის;
- ტარდება სემინარი გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებისთვის;
- ტარდება სემინარი დაწესებულების თანამშრომლებისთვის
- ტარდება შეხვედრა-კონსულტაციები მუნიციპალიტეტში მოქმედ ქალთა ადგილობრივ ორგანიზაციებთან

მეოთხე ეტაპზე მოწვეული სერტიფიცირებული ექსპერტისა ან/და ექპერტთა ჯგუფის მიერ:

- ყალიბდება ანგარიშის ზოგადი დებულებები;
- აუდიტის შედეგებთან დაკავშირებით ტარდება სამუშაო შეხვედრა დაწესებულების ხელმძღვანელებთან;
- ტარდება შეხვედრა გენდერული თანასწორობის საბჭოსთან;
- ტარდება შეხვედრა დაწესებულების თანამშრომლებთან.

მეხუთე ეტაპზე მოწვეული სერტიფიცირებული ექსპერტისა ან/და ექპერტთა ჯგუფის მიერ დგება აუდიტის ანგარიში და რეკომენდაციები

დანართი N1

თანამონაწილეობითი გენდერული აუდიტის ჩატარების მიზნით მუნიციპალიტეტიდან გამოთხოვილი დოკუმენტაციის ნუსხა

ა. ადმინისტრაციული.

1. ორგანიზაციის (საკრებულო, მერია) „ორგანოგრამა"-სტრუქტურა.
2. თანამშრომელთა (საკრებულო, მერია) სია საშტატო ნუსხის შესაბამისად, ტექნიკური, დამხმარე და მოწვეული სპეციალისტების ჩათვლით, მათი თანამდებობების, სახელფასო განაკვეთისა და სამუშაო აღწერილობის ჩათვლით.
3. მუნიციპალიტეტის მიერ დაფინანსებულ პროგრამებში-პროექტებში, აგრეთვე მის დაქვემდებარებაში მყოფ ორგანიზაციებში დასაქმებულ თანამშრომელთა სია, მათი თანამდებობების, სახელფასო განაკვეთისა და სამუშაო აღწერილობის ჩათვლით.
4. მუნიციპალიტეტის მიერ დაქირავებული კონსულტანტების, მრჩევლების, ექსპერტების სია, მათი თანამდებობების, სახელფასო განაკვეთისა და სამუშაო აღწერილობის ჩათვლით.
5. თანამშრომელთა მიერ მომზადებული ანგარიშები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) 2019 წლის აგვისტო-სექტემბრის პერიოდში მათ მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ.
6. ადამიანური რესურსების მართვასთან და პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული წესები (საკრებულო, მერია) და რეგულაციები, რომელიც არეგულირებს მუნიციპალიტეტის კონკრეტულ სტრუქტურებში (განყოფილება, სამსახური) ადამიანური რესურსების მართვას (დასაქმება, განვითარება, შეფასება, კარიერული ზრდა)
7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი მისი დანართებით.

8. მუნიციპალური პროგრამები და ქვეპროგრამები მათი აღწერილობით და თუ შესაძლებელია შესრულების შუალედური ან/და საბოლოო ანგარიშები.
9. მუნიციპალიტეტის (საკრებულო, მერია) ადმინისტრაციული შენობის გეგმა და თანამშრომელთა განლაგება შენობაში-სამუშაო სივრცე (ვინ სად ზის, სართული, სამუშაო ოთახის ზომა კვ. მეტრი, რამდენი ადამიანია ოთახში, და ა.შ.)

ბ. საქმიანობის ამსახველი ძირითადი დოკუმენტები.

1. მუნიციპალიტეტის საქმიანობის ამსახველი, კვლევები, ანგარიშები, გამოცემები.
2. მუნიციპალიტეტის მიერ შემუშავებული და დამტკიცებული სტრატეგიის დოკუმენტები.
3. მუნიციპალიტეტის სტრუქტურების სამოქმედო გეგმები.
4. მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებული მნიშვნელოვანი ღონისძიებების ჩამონათვალი და შესაბამისი ანგარიშები, მათი მონაწილეთა სიის ჩათვლით.
5. მუნიციპალიტეტის კონკრეტულ სტრუქტურების (განყოფილება, სამსახური) საქმიანობის განმსაზღვრელი დოკუმენტები.
6. ინფორმაცია მუნიციპალიტეტის საქმიანობაში სამოქალაქო ჩართულობის მექანიზმებისა და ფორმატების შესახებ.
7. სამოქალაქო ჩართულობის უზრუნველყოფის ამსახველი დოკუმენტაცია.

გ. ინფორმაცია და საზოგადოებასთან ურთიერთობა PR.

1. საზოგადოებასთან ურთიერთობებისა და საინფორმაციო განყოფილების საქმიანობის განმსაზღვრელი და ამსახველი დოკუმენტები.
2. საზოგადოებასთან ურთიერთობებისა და საინფორმაციო განყოფილების მიერ მომზადებული მასალების ნიმუშები (საინფორმაციო მასალები, პრესრელიზები, ბროშურები, ლიფლეტები, პლაკატები, ვიდეო მასალები და სხვა)
3. პუბლიკაციები-გამოცემები.
4. მუნიციპალიტეტის ვებგვერდის, სოციალური მედიის გვერდების მისამართები.
5. მუნიციპალური გაზეთის ნიმუშები.

დ. ტექნიკური თანამშრომლობა.

1. მუნიციპალიტეტის მიერ დამტკიცებული პროექტების საპროექტო დოკუმენტაცია.
2. აღნიშნული პროექტების განხორციელების სტატუსი (დაგეგმილი, მიმდინარე, დასრულებული.
3. მიმდინარე ან დასრულებული პროექტების პროგრესისა და შესრულების ანგარიშები

ე. გენდერულ საკითხებთან დაკავშირებული საქმიანობა

1. სამიზნე მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმის ამსახველი დოკუმენტაცია (მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და დებულების დამტკიცების დადგენილება, საბჭოს დებულება, წევრთა სია და საკონტაქტო მონაცემები, მუნიციპალიტეტის მერიაში გენდერზე პასუხისმგებელი პირის სამუშაო აღწერილობა და საკონტაქტო ინფორმაცია)
2. მუნიციპალური გენდერული თანასწორობის გეგმა.
3. მუნიციპალური გენდერული თანასწორობის გეგმის შესრულების „თვითშეფასება“ (თანდართული ჩარჩოს შესაბამისად).
4. გენდერული თანასწორობის საქმიანობის ამსახველი დოკუმენტაცია:
- განხორციელებული აქტივობების ნუსხა და ანგარიშები.
- სხდომის ოქმები.
- მომზადებული წინადადებები და რეკომენდაციები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
5. მუნიციპალიტეტის გენდერზე პასუხისმგებელი პირის საქმიანობის ამსახველი დოკუმენტაცია:
- გენდერზე პასუხისმგებელი პირის მიერ განსახორციელებელი საქმიანობის პირადი სამოქმედო გეგმა
- ანგარიშები განხორციელებული საქმიანობის შესახებ.
- მის მიერ მომზადებული წინადადებებისა რეკომენდაციების ნუსხა (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმის თვითშეფასების მეთოდიკა

მუხლი 1. მიზანი

1. თვითშეფასება წარმოადგენს საქმიანობის მუდმივი გაუმჯობესების უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტს, რომელიც საშუალებას იძლევა:

- გამოიკვეთოს ის სფეროები და საკითხები, რომლებიც საჭიროებენ გაუმჯობესებას,
- შედგეს ის საბაზისო მონაცემები, რომელთა მიმართებაშიც იწარმოებს პროგრესის შეფასება და კონტროლი,
- გამოვლინდეს არსებული საუკეთესო პრაქტიკა,
- მოხდეს საკუთარი მოვალეობის დემონსტრირება ადგილობრივი საზოგადოების და სხვა დაინტერესებული მხარეების წინაშე ადამიანის უფლებებისა და გენდერული თანასწორობის შესახებ ვალდებულების დასაკმაყოფილებლად,

- განამტკიცდეს თანამშრომლობა საზოგადოებრივ გაერთიანებებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და დაინტერესებულ მხარეებთან,
- შეიმუშავდეს რეალისტური მიზნები და შედეგზე ორიენტირებული ღონისძიებები.

2. მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმის თვითშეფასების მიზანია სამოქმედო გეგმის შესრულების პროცესში არსებული ხარვეზების გამოვლენა და მათი გამოსწორების გზების გამონახვა; გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განხორციელების პროცესში გამოვლენილი რისკების იდენტიფიცირება და სამოქმედო გეგმის მიმდინარეობის პროცესის შეფასება. ჩატარებული კვლევისა და ანალიზისა საფუძველზე რეკომენდაციების შემუშავება დაგეგმილ ღონისძიებათა კორექტირების, მოკლევადიანი სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და ინიცირებისათვის.

მუხლი 2. ამოცანები

მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმის თვითშეფასების ამოცანებია:

- სამოქმედო გეგმაში მიმართულების შესაბამისად განსახორციელებელი საქმიანობების და ამ საქმიანობის განხორციელებაზე პასუხისმგებელი და პარტნიორი უწყებების იდენტიფიცირება;
- საქმიანობის ეფექტური განხორციელებისათვის ურთიერთთანამშრომლობის ფორმატის და დამატებით პარტნიორების განსაზღვრა;
- რისკების იდენტიფიცირებისა და მათი მართვის გეგმის შემუშავება;
- სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების მიმდინარეობის შეფასება შესაბამისობის (ამოცანების აქტუალობა შეცვლილი გარემოებების გათვალისწინებით), ეფექტურობის (მიზნებისა და ამოცანების მიღწევადობის რეალურობა მათი პრიორიტეტულობის გათვალისწინებით), ეფექტიანობის (გაწეული ხარჯების შეფარდება მიღებულ შედეგთან), მდგრადობის (მიღებული ან მისაღები შედეგის განგრძობადობის ალბათობა) და გავლენის (მიღებული ან მისაღწევი შედეგის ეფექტი ბენეფიციარებზე) კრიტერიუმებით;
- ჩატარებული ანალიზის საფუძველზე რეკომენდაციებისა და მოკლევადიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება.

მუხლი 3. თვითშეფასების მეთოდი და თვითშეფასების პროცესის ძირითადი ეტაპები

1. თვითშეფასების მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად გამოყენებული იქნება ჯგუფური მუშაობის და SWOT ანალიზის მეთოდი.

2. თვითშეფასების პროცესი მოიცავს სამ ძირითად ეტაპს:

1) პირველი ეტაპზე ხდება:

ა) თვითშეფასების ჯგუფის შექმნა და თვითშეფასების კვალიფიციური ტრენერის/ფასილიტატორის მოწვევა;
ბ) თვითშეფასების ობიექტის (სამუშაო მოცულობის) განსაზღვრა და შესაბამისი ინფორმაციის/მასალების მოკრება

2) მეორე ეტაპზე ხდება დანართით განსაზღვრული N1 და N2 ჯგუფურ სამუშაოთა შესრულება
3) მესამე, დასკვნით ეტაპზე ხდება მიღებული შედეგების შეჯამება, რეკომენდაციების მომზადება, მოკლევადიანი სამოქმედო გეგმის შედგენა და მისი ინიცირება.

მუხლი 4. თვითშეფასების პროცესის პირველი ეტაპი

თვითშეფასების პროცესის პირველი ეტაპი მოიცავს მოსამზადებელ სამუშაოებს. ამ ეტაპზე ხდება:

ა) მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს გადაწყვეტილების მიღება მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმის თვითშეფასების ჩატარების შესახებ და თვითშეფასების სამუშაო ჯგუფის შექმნა. თვითშეფასების სამუშაო ჯგუფში შეყვანილნი უნდა იქნენ როგორც მუნიციპალური გენდერული საბჭოს წევრები, ასევე მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის წარმომადგენლები. სამუშაო ჯგუფში სასურველია მოწვეულნი იქნენ გენდერული თანასწორობის საკითხთან დაკავშირებული ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ბ) თვითშეფასების პროცესის წარმართვისა და ფასილიტაციისათვის ტრენერის/ფასილიტატორის მოწვევა. ტრენერი/ფასილიტატორი აცნობს სამუშაო ჯგუფის წევრებს თვითშეფასების მიზანს, ამოცანებს, თვითშეფასების პროცედურებს, ანაწილებს როლებსა და ფუნქციებს ჯგუფის წევრებს შორის და სამუშაო ჯგუფის წევრებთან ერთად განსაზღვრავს შესაფასებელი დოკუმენტების, მასალების თუ ინფორმაციის ნუსხას.

მუხლი 5. თვითშეფასების მეორე ეტაპი

თვითშეფასების მეორე, ძირითად ეტაპზე სრულდება დანართით გათვალისწინებული N1 და N2 ჯგუფური სამუშაოები.

მუხლი 6. თვითშეფასების მესამე ეტაპი

თვითშეფასების მესამე, დასკვნით ეტაპზე ხდება:

- SWOT ანალიზის მეშვეობით მიღებული შედეგების შეჯერება,
- სამოქმედო გეგმის შესრულების მიმდინარეობის შეფასება და რეკომენდაციების მომზადება

- რეკომენდაციათა საფუძველზე მოკლევადიანი სამუშაო გეგმის შემუშავება.

მუხლი 7. მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმის თვითშეფასების მასალების ინიცირება და გამოქვეყნება

1. მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმის თვითშეფასებით მიღებული რეკომენდაციები, თვითშეფასების სამუშაო ჯგუფის მიერ სამოქმედო გეგმის მიმდინარეობის შეფასება და მოკლევადიანი სამუშაო გეგმა განსახილველად წარედგინება მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს.

2. მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმის თვითშეფასებით მიღებული რეკომენდაციები საჯაროა და უნდა იქნეს გამოქვეყნებული მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ გვერდზე.

მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმის თვითშეფასების მეთოდიკის დანართი

ჯგუფური სამუშაო 1

შესასრულებელი სამუშაოს მოიცავს:

- სამოქმედო გეგმაში მიმართულების შესაბამისად განსახორციელებელი საქმიანობების იდენტიფიცირება;
- იდენტიფიცირებული საქმიანობის განხორციელების „სტატუსი“ (დაგეგმილი, განხორციელებული, მიმდინარე, განსახორციელებელი. - სტატუსის გრაფაში „განხორციელებული“-ს ან „მიმდინარე“-ს არჩევის შემთხვევაში უნდა მითითებულ იქნას მაქსიმალური ინფორმაცია, ინფორმაცია საქმიანობის შესახებ *<u>რა? სად? როდის? ვის მიერ? მონაწილეთა რაოდენობა ასაკისა და სქესის მიერ სეგრეგირებული?</u>*).
- აღნიშნული საქმიანობის განხორციელებაზე პასუხისმგებელი და პარტნიორი უწყებების იდენტიფიცირება დამტკიცებული სამოქმედო გეგმის შესაბამისად;

იმ შემთხვევაში თუ საქმიანობის სტატუსია: „დაგეგმილი“, „მიმდინარე“, ან „განსახორციელებელი“

- ჯგუფის წევრთა შეთანხმებული მოსაზრებით ვინ შეიძლება იყოს დამატებით პარტნიორი საქმიანობის ეფექტური განხორციელებისათვის;

- მოსაზრება გეგმით გათვალისწინებული საქმიანობის ეფექტური განხორციელებისათვის ურთიერთთანამშრომლობის სფეროებზე და ფორმატზე.

საქმიანობა #	„სტატუსი“	პასუხისმგებელი უწყება გეგმის შესაბამისად	პარტნიორი უწყება გეგმის შეს.	სასურველი პარტნიორი უწყება	თანამშრომლობის სფერო და ფორმატი	დამატებითი ინფორმაცია

ჯგუფური სამუშაო 2

<u>**მიზანი:**</u>

- პირველი ჯგუფური სამუშაოს შედეგად იდენტიფიცირებული „მიმდინარე“ ან „განსახორციელებელი“ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული საქმიანობების SWOT ანალიზი.
- განხორციელების პროცესში მოსალოდნელი რისკების იდენტიფიცირება და მართვა;
- მოკლევადიანი სამოქმედო გეგმის <u>ინიცირება</u>

<u>**აღწერა:**</u> ტრენერი/ფასილიტატორი მონაწილეებს „Power Point”-ის პრეზენტაციის თანხლებით აცნობს SWOT ანალიზის, რისკების იდენტიფიცირებისა და მართვის მეთოდოლოგიას, რის შემდეგაც მონაწილეები დაბრუნდებიან სამუშაო ჯგუფებში იგივე შემადგენლობით, როგორც მუშაობდნენ წინა ჯგუფური სამუშაოს დროს, მათ მიერ მომზადებული პრეზენტაციიდან ამოკრეფენ იდენტიფიცირებულ საქმიანობებს, რომელთა სტატუსია „მიმდინარე“ ან “განსახორციელებელი“, SWOT ანალიზის მეშვეობით შეაფასებენ აღნიშნულ საქმიანობაზე პასუხისმგებელი უწყების ან უწყებების ძლიერ და სუსტ მხარეებს, აგრეთვე შესაძლებლობებსა და საფრთხეებს, რის გათვალისწინებითაც დასახავენ კონკრეტულ გეგმებს აღნიშნული საქმიანობის ეფექტური განხორციელებისათვის.

<u>**აქტივობისათვის საჭირო დრო:**</u>

- ჯგუფის მუშაობა და პრეზენტაციის მომზადება 40 წუთი;
- პრეზენტაციის წარსადგენად თითოეულ ჯგუფს 10 წუთი;
- დამატებითი დრო დისკუსიისათვის 10 წუთი;

<u>**სულ აქტივობისათვის საჭიროა 1 საათი და 40 წუთი**</u>

<u>**აქტივობისათვის საჭირო მასალები:**</u>

- გენდერული თანასწორობის მუნიციპალური სტრატეგიის დოკუმენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში
- მუნიციპალური გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმა
- ოჯახში ან/და ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული სამოქმედო გეგმა
- გენდერული თანასწორობის საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმა
- ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმა (ყველა მონაწილისათვის)
- სამუშაო ფურცელი „ფლიპჩარტი“ (A1 ფორმატის);
- დაფა;
- მარკერები (განსხვავებული ფერის 5კომპლექტი);
- წებოვანი ლენტი „სკოჩი“ (ქაღალდის, საშუალო სიგანის);
- პროექტორი;
- ეკრანი;

SWOT ანალიზი

შიდა ორგანიზაციული	გარე ფაქტორები
ძლიერი მხარე	შესაძლებლობები
სუსტი მხარე	გამოწვევები - საფრთხეები

რისკების რანგირება

რისკი*	ალბათობა -P 1დან 5 მდე შკალით	ზიანი -D 1დან 5 მდე შკალით	რეიტინგი -R = P*D

*****რისკების იდენტიფიცირება/განსაზღვრა - SWOT ანალიზისა და დაინტერესებულ პირთა ანალიზის შედეგად.

P (Possibility) - რისკის არსებობის ალბათობა/შესაძლებლობა (1დან 5-მდე შეფასების შკალით სადაც 1 არის ძალიან დაბალი ალბათობა და 5 არის ძალიან მაღალი)

D (Damage) - ანალიზი იმისა თუ რა ზიანს მიაყენებს აღნიშნული რისკი მისი წარმოქმნის/დადგომის შემთხვევაში (1დან 5-მდე შეფასების შკალით სადაც 1 ნიშნავს მცირე ზიანებსა და 5 ნიშნავს მძიმე / დიდ ზიანს)

R (Rating) - ამ ორი ციფრის/ასპექტის გამრავლებით მიიღება რეიტინგი/ხარისხი ციფრი 1 და 25 შორის.

რისკების მართვა და შემცირება

რისკი :			
მართვა: (საქმიანობა / აქტივობა)	ალბათობა:	ზიანი:	რეიტინგი:
1)			

2)	სტრატეგია*:
3)	პატრონაჟი**:

რისკი :			
მართვა: (საქმიანობა / აქტივობა)	ალბათობა:	ზიანი:	რეიტინგი:
1)			
2)	სტრატეგია*:		
3)	პატრონაჟი**:		

რისკი :			
მართვა: (საქმიანობა / აქტივობა)	ალბათობა:	ზიანი:	რეიტინგი:
1)			
2)	სტრატეგია*:		
3)	პატრონაჟი**:		

***** აირჩიეთ, სტრატეგია (შემდეგ სტრატეგიებს შორის: თავიდან აცილება, კონტროლი, მიღება და გამორიცხვა)

** მოახდინეთ იდენტიფიცირება ვინ იღებს პასუხისმგებლობას/პატრონაჟს გამოკვეთილი რისკების მართვისათვის არჩეული სტრატეგიის ფარგლებში

სამოქმედო გეგმა

მიზანი:				
საქმიანობა	**ინდიკატორი***	**პასუხისმგებელი უწყება**	**პარტნიორი უწყება**	**ვადა**

* კარგი ინდიკატორები უნდა მოიცავდეს დასახული აქტივობის/საქმიანობის შედეგების რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებს, უნდა იყოს იოლად აღქმადი და გასაგები ენით აღწერილი, რათა ყველა დაინტერესებულმა მხარემ შეძლოს მისი გაგება, გამოყენება და მათი მეშვეობით მიღწეული შედეგების შეფასება.